რომ გითხრათ პირადად არც საკავშირო პრესა მაკლია და არც საკავშირო ტელეგადამცემები-მეტეჟი, უმალ მკითხავთ, სიდანო... პირველის მიღების წყაროს ვერ გაგინებელთ, შემოწმებენ, მეორეს კი გეტყვიან: პროფესიით ინჟინერი ვარ და მანამ „გებობოლო“ ტელევიზორს და ანტენებს, სანამ ცენტრალური და რუსეთის ტელევიზიის პროგრამებიც არ დავიჭირო. და იმ დიდან მოყვრებული თბილის-ზე თითქმის არც გადმოვირთავს ტელევიზორი, რადგან, სამწუხაროდ, დღეს საკავშირო ტელევიზია მეტ სიმაღლეს გადმოსცემს საქართველოზე, ვინემ საქართველოს ტელევიზია და რადიო...

ლეილა კაპანაძე, ბიოლოგი:

სავსებით მხარს ვუჭერ ამ გადაწყვეტილებას, რადგან პრესა და ტელევიზია და მარტო საკავშირო კი არა, საქართველოს გაზეთების ნაწილიც უნდა და გესსა თესავს მოსახლეობაში. აბა, სხვა რა დავარქვა საკავშირო პროგრამა „ვრემისა“ ამასწინანდელ ირონიულ განცხადებას — საქართველოს პარლამენტმა სამი დღის მუშაობის შემდეგ ძლივს ერთი გადაწყვეტილება გამოიტანა — კომუნისტები გარეკაო...

ვალა გრინივზილი, ექიმი:

მე მინდა მივმართო ჩემს პრეზიდენტს, ადამიანს, ვისაც ხმა მივეცი და ვისაც დღესაც ვჭერა და მწამს: ბატონო პრეზიდენტო, ხომ გავგონიათ, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასაო, პოდა... 5 ოქტომბერს მთავრობის სახლში მე თქვენი მომხრე და თქვეთის მებრძოლ ხელკეტებით მცემს და კინაღამ ჩამქოლეს ასევე თქვენმა დამცველებმა და იცით რატომ? მოვკლათ, მოვკლათ, ვილაცხე ვაიძალადუნ და მე ვიკითხე, ხალხი, ნულუ სხვა აღარაფერი ჰრის, კაცი სასიკვდილოდ რომ არ გავიშვოთ-მეტეჟი. აბა, ესეც ჩვენი მტერი ყოფილა და მომხრეს და მომხრეს ხელკეტებით...

ბატონო პრეზიდენტო, მე მაინც თქვენი ერთგული ვრჩები, რადგან მჭარა, თქვენი საქართველოსადმი დიდი სიყვარულისა და თავდადებისა, მაგრამ ხანდახან შიშაც მამართებს — ვაითუ ამ ვაუწყებულმა აღამიანებმა, დღეს რომ ვახვევიათ ვარშეშო, თქვენც აღარ დავიბნდო, ვინმეს დაინდობისა და შეწყალებისა ვეცნ თუ მოუწოდებო...

ყველაფერი ამის თქმა კი იმიტომ დამჭირდა, ბატონო პრეზიდენტო, რომ რატომღაც მგონია, თქვენ რომ მეტ თავისუფლებას აძლევდით ხალხს, სან პრესას (თუნდაც საკავშიროს) და ხან რადიო-ტელევიზიის არ უკრძალავდეთ და უთიმავედეთ, ის მეტად ინფორმირებული და მერწმუნეთ, ბევრად ლმობიერიც იქნებოდა მოძმისა და თქვენდამიც...

რეაზ სარგაძე, თხუ ეურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

მიმანჩია, რომ კი არ უნდა აკრძალოს, ხელისუფლება თავადვე უნდა იყოს დაინტერესებული ასეთი გამოცემების მიღებით და მოსახლეობისთვის მათი გაცნობით. და ის, თუ როგორ მიიღებს მოსახლეობა ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრს, როგორ დასკვნებს გამოიტანს, ეს ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია, რამდენად მოქნილია ეს ხელისუფლება, რამდენად შესწევს მას ძალა დასაბუთებული კონტრარგუმენტებით დაუპირისპირდეს მის წინააღმდეგ მიმართულ აზრს.

თამარ ბარბაქაძე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანაშრომელი:

აკრძალვა, როგორი სასიკვითო მიზნისკენაც უნდა იყოს იგი მიმართული, მაინც იწვევს ერთგვარი პროტესტის გრძობას. თვით ქრონიკული დაავადების დროსაც კი, როდესაც ექიმი სამკურნალო დიეტას უნიშნავს ავადმყოფს, შეზღუდულად და არასრულფასოვანად გრძობს თავს ადამიანი, მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს განუსაზღვრელი ვადით არ იქნება: დიეტა შეიძლება იყოს ერთკვირიანი, ერთ თვით და ა. შ. როდესაც საკავშირო პრესისა და ტელევიზიის გიკრძალვით თუნდაც იმდენი, რომ მეტი გიფრთხილებიან, ანუ სამ-

კურნალო ხარ, მინცდამინც კარგხასიითზე ვერ დადგები. მით უფრო, რომ ეს აკრძალვა მთელ რესპუბლიკას ეხება. უ. ი. შენ ავადმყოფი ვარს წარმომადგენელი ხარ, რადგან მას გონებრივად და ფსიქოლოგიურად არ შეუძლია გაანალიზოს და „მოინელოს“ მისთვის მისაღები და მიუღებელი ინფორმაცია.

ოთარ მიქაძე, ინჟინერი:

თვითონ საკითხის დასმა, საქირთა თუ არა ცენტრალური და რუსეთის ტელეპროგრამების მიღება და ცენტრალური გაზეთების გავრცელება, კუროზად მიმანჩია, რადგან დღეს ინფორმაცია ფული ლის და თუ ისინი ამ ძვირფას პროდუქციას უფასოდ გააძლევენ, რატომ არ უნდა ავიღოთ და გამოვიყენოთ ისე, როგორც ჩვენს ინტერესს შეესაბამება. ვფიქრობ, ამასში მართალია ხელისუფლება და პრეზიდენტი, რომ მათი უამრავი წინააღმდეგობა, ცილისწამება ჩვენს მიმართ; და ეს არცაა გასაკვირი, მტერი ცდილობდა და ცდილობს სახელი გაფიტვოს, მაგრამ ჩვენზე არაა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ მას? არ უნდა გვეშინოდეს ამისა. მტერი რას ფიქრობს შენზე, რა ხერხებით გეზრძობს, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. ამდენად, მე მომხრე ვარ, რომ აღსდგეს ცენტრალური და რუსეთის ტელეპროგრამების ჩვენება და საკავშირო გაზეთების გავრცელება.



რომან ბარბაქაძის ნახატი.

5 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს საკავშირო ტელეპროგრამებისა და გაზეთების მიღება-გავრცელების საკითხები. ძეჟვა, რომ საქირთა სრულად ამოქმედდეს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მიღება-გავრცელების შესახებ (ჭრეჭრობით ეს გადაწყვეტილება მიმდინარე წილზე ვრცელდება).

ბათა შესახებ, რაც გარანტი უნდა იყოს დემოკრატიაციის პროცესის შეუქცევადობისა და, რომ დაუყოვნებლოვ აღდგება ცენტრალური და რუსეთის ტელევიზიის პროგრამების ჩვენება და საკავშირო გაზეთების გავრცელება (ჭრეჭრობით ეს გადაწყვეტილება მიმდინარე წილზე ვრცელდება).



# ოდისეოსი, დაბო და ქაბო!

— ამ დღეებში ამოგჩვენებთ სამსახურსა და სამსახურს (ხელმოწერების უპრობლემო გარეშეობა) პანისი და ტა-  
ლევიონით დაიწყო მისი  
წარმოადგინოს პანისი-  
დენის დასაწყისში და  
საპრობლემო და რა-  
საპრობლემო სამსახურსა და  
რედაქციის დასაწყისში და  
რედაქციის დასაწყისში და  
რედაქციის დასაწყისში და

**პარლიამენტის**  
— ისევე მხოლოდ პრეზიდენტის  
არ მართავს ყველაფერს? ხომ ეუ-  
ბნება პარლამენტს, დაჯდომო-  
ს არის პარლამენტი? სადა გვეყავს  
პარლამენტი. ვახსოვდით ჩემი სი-  
ტყვა, მთელ საქართველოს ასსო-  
დეს: ასე თუ იარა ხელისუფლებამ,  
დღეს რომ მას ტრამს უკრავენ,  
ხვალ სწორედ ისინი გამოვლენ ქუ-  
ჩებში მის წინააღმდეგ.

უფრო მეტ ოპოზიციურ განწყო-  
ბილებას შექმნის და კიდევ უფ-  
რო გამამაგრებდა ვენებათაღელვა-  
მოკლე, ცეცხლზე ნავთს დაას-  
მს.

ამიტომ, თუ მოსწოდების ერ-  
თი მხარე, ერთი ნაწილი ითხოვს  
საპრეზიდენტო მმართველობას,  
საპრეზიდენტო მმართველობას,  
საპრეზიდენტო მმართველობას (ის-  
ვე და ისევ პრესის შემგებობით)  
განმარტოს, თუ რა შეიძლება ამ-  
ის მოპყვეს, რა შედეგებამდე შეი-  
ძლება მივიყვანოთ საქართველო,  
რა სიკეთე თუ ზიანი შეიძლება მას  
მოუტანოს.

როცა ეს ყველაფერი ეკოდინე-  
ბა საქართველოს მთელ მოსახლე-  
ობას, მხოლოდ ამის შემდეგ ისევ  
მთელმა მოსახლეობამ უნდა გად-  
აწყვიტოს, სურს მას საპრეზიდენტო  
მმართველობა თუ არ სურს.  
ხოლო თუ ამ გადაწყვეტილებას  
პრეზიდენტი მიიღებს, სამასი კაც-  
ის ან თუნდაც რამდენჯერმე მეტი  
ადამიანის იმპულსური სურვილის  
საფუძველზე, ეს მხოლოდ ზიანს  
მოუტანს ყველას.

**თამარ ბარბაქაძე, შოთა რუს-  
თაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტის მეც-  
ნიერი-თანამშრომელი.**

— მე როგორც პროფესიით ფი-  
ლოლოგი, ლექსმცოდნე, ქართული  
კლასიკური პოეზიის საგანძურს მი-  
ვხატავ, სადაც ამ კითხვის პასუ-  
ხად აკაკის შესანიშნავი სტრიქონ-  
ები შემომგებებდა „თორნიკე ერ-  
ისებრიდან“:

„ერთ კაცის ნდობა ძნელია,  
თუნდაც გადამცივს გონებად  
და შეუმცდარი ამქვეყნად  
მეფეცა ნუ გეგონებათ“.

ამ სიტყვებს X საუკუნეში ამ-  
ბობს მეფე დავით კურაპალატი,  
რომელსაც საყვარელმა მხედართ-  
მთავარმა თორნიკე ერისთავმა ურ-  
ჩობა გაუბღალა — სამასხურზე უა-  
რი განაცხადა მეფის დაუციობავად.  
მეფემ მისი „ნაღატის“ მიზეზების  
გამოსარკვევად დარბაზი შეკრება  
და ამ სიტყვებით მიმართა მოწვე-  
ულთ. მხოლოდ საკუთარ თავს ვერ  
ენდო ასეთი მნიშვნელოვანი გადა-  
წყვეტილების მიღების უამს.

„ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც  
ასე ხშირად მივმართავთ როგორც  
ქართული ლხინისა და ჭირის  
დროს, ამგვარად შეუმცდარად  
გადასულხებს: მეფე როსტომის ვა-  
ზირებს დაეკითხა რჩევას ერთადე-  
რთი ქალშვილის გამეფებამდე, თუ-  
მცა თვითონაც მშვენიერად იცოდა  
და მისმა ქვეშევრდომებმაც უწყ-  
ოდნენ, რომ თინათინი ღირსეული  
მეფემეტი და მოუყოლიდებლად, ერთ-  
პიროვნულად გადაწყვეტა ხვარაზ-  
მელი სასიძოს მოწვევა ინდოეთში  
და მხოლოდ შემდეგ ჰკითხა რჩე-  
ვა ამირბარს. ტარიელმა თავისი  
ტყბილი, საყვარელი გამზრდელიც  
ყო „არ დაინდო“ ამგვარი უსამარ-  
თობის გამო და ამბობდა, „ოპ-  
ოზიციაც“ მოუწყურ...

**ოთარ მიქაძე, ინჟინერი:**

— პარლამენტის გაუქმება და  
საპრეზიდენტო მმართველობის  
შემოღება — თავისთავად ეს  
ფორმაზე იწვევს გარკვეულ ნეგა-  
ტიურ დამოკიდებულებას. ჩემის  
აზრით, აქ საკითხი სტრატეგიულად  
უნდა დაისჯოს. არ ვიცი, ამას რა  
ქვეყნის, საპარლამენტო მმართვე-  
ლობა თუ რა, მაგრამ ის, რომ  
დღეს გვერდობა ძლიერი ხელი-  
სუფლებით, ძლიერი პრეზიდენტი  
სათავეში, ჩემში არავითარ ეჭვს  
არ იწვევს. დღეს ჩვენი ქვეყანა  
პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს  
დგამს, ახლა იკვეთება ეროვნუ-  
ლი სტრატეგიები და მტერსა მი-  
სი მომთბობა დღეს აღვიღო. შე-  
ქვდება ერთადერთი გარანტია  
მხოლოდ — იურიტი ხელისუფლე-  
ბა, ამიტომ პროცესი, რომელიც  
დღეს მხოლოდ საქართველოში, ამი-  
ლია და გარკვეული წარბაართთ, მათ  
შეიქმნის იურიტი მოძრაობაც.  
პრეზიდენტი, კეთილშობილ-  
ური კაცობა მხოლოდ ხელს შე-  
ქვდება ხელისუფლებას. ამდენ-  
ად უნდა იყოს ძლიერი პრე-  
ზიდენტი, იმედობრივად, მე არ  
გვჯობს ამისთვის საქართველო  
პარლამენტის გაუქმება. ამ თრ-  
მა სტრატეგიამ, მირიქით, ერთ-  
მანეთი უნდა შეაჯსოს, მათ თა-  
ვისათვის ფუნქციები უნდა ჰქონ-  
დეთ.

**რამაზ სარგულაძე, თბუ შუ-  
რნალისტიკის ფაქულტეტის დე-  
კანის მოადგილე:**

— სამასი კაცის ხელმოწერით ამ  
საკითხზე მსჯელობა შეუძლებელ-  
ია, რადგან სამას და თუნდაც გა-  
ცილებით მეტი კაცს არა აქვს ამის  
უფლება. რადგან, როცა ამ განც-  
ხადებას აკეთებს სამასი კაცი, ოპ-  
ოზიციას შეუძლია თქვას, რომ ჩვენ  
გართ მრავალჯერ სამასი, ვთქვით  
50 000 და ვაყენებთ ამის საპრობ-  
ლემო მოთხოვნას. ოპოზიციის  
ისევე აღვადებთ (და ეს ხელმო-  
წერის დროს საფუძველს უდევს,  
რომ პრეზიდენტს უნდა მო-  
სდეს მისი მთელი ხელისუფლე-  
ბა დაუპყრობით. და  
ამიტომაც იქნეს იგი უნდა  
ბას პრეზიდენტისადმი. ხომ  
პრეზიდენტის ხელში უნდა  
ქალაქი უფლება მოქცევა, ეკო-  
ლოგია, უფრო გამაგრდება,  
ხელისუფლება უფრო კიდევ

## ოღმე ბარჯანაძე, კულტუ- რის მუშაკი:

— მე მჯერა, რომ ზვიად გამსა-  
ხურდია ამას არ გააკეთებს. ის არ  
გაუშვებს პარლამენტს, რადგან ის  
უსმენს და ისმენს მრავალთა აზრს  
და მათ შორის უზუნაეს საბჭოშიც.  
ეს უზუნაესი საბჭო დღეს აუცი-  
ლებელია სიტუაციის განსაზღვრა-  
კენად. მაგრამ თუ სიტუაცია  
კიდევ მეტად გართულება, მაშინ  
მე ანარქიის, თუნდაც დიქტატუ-  
რას, ვაოჩნევდი...

## ნათელა ბაგვაშაძე, მასწავ- ლებელი:

— სიმართლე გითხრათ, ვერ გა-  
ვიგებ, რატომ უნდა შემოიღონ პრე-  
ზიდენტის მმართველობა. თუ იმიტ-  
ომ, რომ კიტოვანის გვარდია განა-  
იარაღონ და ოპოზიციის პოლიტი-  
კური მიტინგები და მანიფესტაცი-  
ები აღკვეთონ, კიტოვანის გვარდი-  
ის სტატუსის საკითხი ხომ უზუნა-  
ესი საბჭოს გასარკვევია (და ამის-  
თვის სპეციალური კომისია შეიქმ-  
ნას თუ იქნება...), ხოლო მიტინგე-  
ზისა და მანიფესტაციების აკრძალ-  
ვა ყველა ქვეყანაში ანტიდემოკრა-  
ტიულია და ითვლება, ჩვენი პრე-  
ზიდენტი კი ამბობს, რომ დემოკრა-  
ტი ვართ...

ფაქტობრივად, ჩვენთან ხომ უკვე  
დღეს არის საპრეზიდენტო მმართვე-  
ლობა და ამ მმართველობამ მო-  
გვიტანა ის, რომ აქამდე მშვიდდ  
მყოფი გლეხი ადგილობრივ, თბილ-  
ისში ჩამოვიყვანეს და პრეზიდენტის  
დასაცავად მთავრობის სახლის კა-  
რიბჟესთან დააყენეს. ამ დროს კი  
სოფლად მოსავალი იღუპება, რაც  
შემოქმედებს ზამთარს გვიქადის  
მთელს ერს.

## ირაკლი ბაგვაშაძე, ეკო- ნომისტი:

— მიმანია, რომ ეს იქნება  
კიდევ ერთი არადემოკრატიული  
გადაწყვეტილება და დიქტატორუ-  
ლი ნაბიჯი, რადგან ის სამასი ამო-  
მრჩეველი (და თუნდაც ამ სამასს  
კიდევ სამასჯერ სამასი დამატარს)  
მაინც არ არის მთელი საქართვე-  
ლო... და ამიტომ მათი ნებაც არ  
უნდა განხორციელდეს მთელ სა-  
ქართველოზე. არადა საპრეზიდენტო  
მმართველობა, თუ იგი შემო-  
იღეს, ხომ მთელ საქართველოში  
უნდა განხორციელდეს. რატომ,  
როდეს გვეყვება ანგარიში განსხვა-  
ვებულ აზრის ადამიანებს, თუნდა-  
ც ისინი უმცირესობაშიც იყვნენ?..

## მანა ღარბია, ფილოლოგი:

— ის სამასი კაცი არ ვიცი და შე,  
პირადად, ცხადია, თუ ვინმე ყურად  
იღებს ჩემს აზრს, არასოდეს დაუ-  
ჭერ მხარს საქართველოში საპრე-  
ზიდენტო მმართველობას და ამით  
ხელს არ შეუწყობს ძალმომრეობ-  
ის და მმართველობას.

## ნანა ბარბაქაძე, ექიმი:

— დე, მოითხოვონ, დე, შეაგ-  
როვონ ხელმოწერები. ხვალ თუ  
არა შეგ, ეს ტყვე და დოკუმენტი იმ-  
ისა, თუ ვინ დავს დღეს ფაშისმის  
მხარეზე საქართველოში...

## მედიკალიზა (ვიანობის გამხელა არ ისურვებს):

— ჩემი აზრით, საქართველო  
დღეს არ არის მზად საპრეზიდენტო  
მმართველობისთვის და მის შე-  
მოღებას ძალზე ბევრი უბედურება  
შეიძლება მოჰყვეს. სხვა რომ არა-  
ფერი, განა დღეს ისედაც რა პარ-  
ლამენტი გვეყავს, რომ ისიც ტე-  
ვითხოვოთ?...

## გარტანდი ბასკინი, ისტორი- ული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, პრო- ფესორი:

— მოდის ზამთარი, სულ მალე  
ჩვენ შემოიღობის პირისპირ დავდ-  
გებით და თუ ამას საპრეზიდენტო  
მმართველობაც დაემატა, რომელ-  
იც კიდევ უფრო გააძლიერებს თა-  
ვისუფალი აზრის ჩასმობას, მაშინ  
ხანმოკლე დღე იქნება ამ მმართვე-  
ლობას...

## პრიტილ ჯორჯანიანი, მათემატიკ- ისტი:

— ვფიქრობ, სულ ზედმეტი  
ეს განაშაქვა და ხელმოწერები  
საპრეზიდენტო მმართველობა ხომ  
უკვე კარგა ხანია გვაქვს საქართვე-  
ლოში.

ჩვენი ერის ისტორიაში ჩიწერა  
შავი ფურცელი. მამა—მამს, მეგობ-  
არმა მეგობარს მოუღირა თოფი  
და, ჩვენდა სამარცხვინოდ, დავი-  
თისა და ილიას ერთიანმა საქართვე-  
ლომ ფეთქებულ ზღვარს მიაღ-  
წია...

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი,  
თქვენი კუთხის შვილები მოგმართ-  
ავთ თხოვნით:  
დღობ და ძმებო, იყავით ობიექტ-  
ური და მიუკერძოებელი ოფიც-  
იალური ხელისუფლების გარდა  
ომოზიციასაც მოუხმინეთ და სანამ  
თქვენი თვალთ არ დაინახავთ, სა-  
ითყნაა ქემარტიბა, პოზიციას  
ნუ გამოკვეთავთ. მკაცრად შეჩე-  
ვდით უსახლგრო და უკონტროლო  
ხელისუფლებას, რომელიც მას ეს-  
ის პირობებში წინასწარვე ნუ და-  
დგებით რომელიმე მხარეს.

ჩვენ არ ვგებრძობთ პრეზიდენტს,  
როგორც ბევრი ჩვენი კუთხის შვი-  
ლი ფიქრობს და პირობა. ჩვენ არც  
თემურ დემოკრატიაზე დამყარებ-  
ული უსახლგრო და უკონტროლო  
ხელისუფლება გვსურს, რომელიც  
მეოცე საუკუნის დასასრულს შე-  
საძლებელია 30-იანი წლების გერ-  
მანიის განმეორებად იქცეს. სწო-  
რედ აქეთვე მივყავართ „სახელმ-  
წიფო კაბიტალიზმის“ ოფიციალურ  
დოქტრინისთან შეერთებულ პირად  
ხელისუფლებას, საღსის მასების  
ეგზალტირების და საინფორმაციო  
გაყუდების პირობებში. აქეთვე  
მივყავართ დარბევებსა და „მტრე-  
ბის“ ჩაქოვების მოწოდებებს.  
არ გვეგულება შეგნებულნი ჩა-  
როველი, რომელსაც თავისი პატარა

ქვეყნის მომავალი ავსტრიის, შვე-  
იცარიის, სკანდინავიის დარად არ  
ეოცნებება. ჩვენ კი თავადებულ  
ალბანეთისა თუ ჰაიტის გზით მი-  
ვქვებით.

ერთი რამ ფაქტია — თვით ხე-  
ლისუფლებას, კეთილი ნების გე-  
ოლოგის შემთხვევაში, შესანიშნა-  
ვად ძალუქს, უსისხლოდ მოაგვაროს  
კონფლიქტი, შეასრულოს თავისივე  
კანონები და მსოფლიოში აღირა-  
ბული ადამიანის უფლებები. დიქ-  
ტატურასა და ჩაქოვით საზოგადო-  
ებს არა აქვს პერსპექტივა. სულ  
მალე იგი იმ ადამიანთა უბედურე-  
ბადაც იქცევა, რომელიც მას ეს-  
ოღენ მხურავლად უქვერნ მხარს.  
ჩვენ გვსურს დასავლური ცივი-  
ლიზაციის პრინციპებზე აგებული,  
ერთობული, დემოკრატიული, თავი-  
სუფალი ინდივიდების ერთიანი  
საქართველო. თუ ეს ერის ან კუ-  
თხის ღალატია, გობს შეჩინებული  
დაარჩეთ. მომავალი საქართველო  
დაარჩეს მტყუანს და მართალს.

ზაურ კალანდია, თემურ ფი-  
ფია, ილია ანთელავა, ბათუ  
დანელია, იური შაკალაია,  
ბადრი ცირამუა, ანზორ სო-  
ქინავა, სურამ თორია, დემურ  
ანთია, ბორის ქარჩავა, გუ-  
ლადი გვაჭავა, ნუგზარ ან-  
თელავა, მურმან ჭავჭავაძე,  
ელგუჯა ჭიჭია, ქეთიკო ტა-  
ბაღუა, მარინა შონია, მალბაზ  
ხულორდავა, თემურ კვიცი-  
ველია, ჭემალ ჭიჭია, მერაბ  
ოყუჯავა, მერაბ უფანია.

## ნუ უღალატებთ...

გულები განსხვავებული  
და ერთხანით დროშები!

მლონიერა მაცილი  
წმინდა კედლების მომშლელი...

რა ხმამ,  
რა ქარმა მოგწამლათ  
ეს შავგვრემანი ვოეები?!

რატომ ჩაგებრათ გულებში  
სიბოძო  
წინაპრის ზარისა?!  
გადგობსილითი! —  
თქვენი სიანლოვეს  
ჩრდილია შადიმანისა —  
მოლოატე და ორპირი,  
ზურგში ჩამცემი დანისა!

ნუ მიწყენთ...  
მოხერხებ მავონებთ  
ემშაქის უღლის მწვეველსა.  
ნუ უღალატებთ სამშობლოს —  
სულთითი ბნელის მძლეველსა,  
ისედაც ბევრჯერ გაყიდულსა  
და ტვივლდაუღვეველსა!

ქართულ აკენებში ნაწოლო,  
ლამაზ-ლამაზი ვოეები  
განსხვავებული გულებით  
და ერთხანით დროშებით  
რომ ჩანხარო,  
გული მიკენვის  
და, ალბათ, აღარც მოვრჩები!

შაპა სორნალი

# ქართული ეკლესიის დიდი დენასაული

14 ოქტომბერს (ძველი  
სტობი 1 ოქტომბერს),  
ოცდამეორე შეიკრულს  
სულიწმიდის გარდასახვილიდან,  
ქართული ეკლესია დიდ  
დღესასწაულს აღნიშნავს.  
ეს არის დღესასწაული საუფლოს  
კვართისა და დეობრით  
ბრწყინვალე მარონდინარე  
სვეტისა, თორმეტი წმინდა  
მოციქულის სახელობის  
მცხეთის საპატრიარქო  
ტაძრისა — სვეტიცხოვლობა,  
მცხეთისა.

საქართველოს უძველესი  
მართლმადიდებელი ეკლესია  
ვადმოკვებდა თუ როგორ  
მომავალი ეკლესია უფლის —  
„უძველესი, ზეით გამოკვლილ  
უკვლად“ მცხეთაში. ამ ქალაქის  
მცხეთის ეკლესიაში, ამ ქალაქის  
ეკლესიაში (ელაზორში),  
რომელიც აქ საცხოვრებლად  
ქრისტეს შობამდე 70 წლით  
აღრე მოწინა, წყარო მიაღწი  
იერუსალიმიდან. მაშინ, კერძოდ  
„ემშაქთაგან აღმორგნითი  
მუროათამანი“ იტყობინებოდნენ,  
რომ „ეკლესია მთერ, რომელსა  
პრქვიან იესუ, ვანქარდა  
სწული მოხენს და დახსნეს  
უკვლელნი წესნი ჩუენნი“ და  
ფლობდნენ შური ექიათ და  
დაეცვათ „სწული მამათა“.

ეკლესია მაშინვე გაემგზავრა  
ლონჯონის თანხლებით,  
იერუსალიმს. იქ ისინი  
მოქმენი ვახდენენ  
უფლის ვნებებისა. იმ წუთებში,  
(დასასრული 88-11 წწ.).

როცა იესოს ჭვარზე აკრავდნენ,  
ეკლესიის დედის მცხეთისა ეხმა-  
ზმა. მან თავის ახლოს ხიდონის  
აუწყა უფლის ჭვარცმის ამბავი.  
და თვით აღდგარულსა.  
იერუსალიმში კი ეკლესია,  
რომელიც უფლის სახელობის  
გაყოფის მოწვევს გახდა,  
შეიხიდა კვართი უფლისა ამ  
მხედრისაგან, ვახვც იგი  
წოდებურთა შებნა. ეკლესია  
კვართი მცხეთაში წამოიღო და  
თავის დას ხიდონის უჭვენა.  
იგი მოწინებთ იმთხივა კვართს,  
გულში ჩაიკრა იგი. ამ  
საქართველი შემთხვევის გამო  
ღიდალი ხალხი შეთქობა  
წოდებულან და ქართველობის  
მამინდელ მუცეს ადგრიეს  
უნდოდა კვართი ავლო  
ხიდონისაგან, მაგრამ ვერ  
მომარბა... ეკლესია თავისი  
დაი კვართითურთ დაქრდა  
საქვლო ხალხს.

უკვლელიც ეს მოციქულთაწარ-  
წმინდა ნინოს მოუთხრო  
ქართლის ეხარებლთა  
მღვდელმთავარმა აბათარმა,  
რომელიც ეკლესიის მუმიავალი  
ყო. მან ქრისტე წმინდა  
წმინდა ნინოს მოაქცია ქრისტეს  
რწმუნაზე ქართლის მეფე  
მარიანი, რომელმაც  
ვადწყვეტა უფლის კვართის  
პატრიარქად მცხეთაში  
ხიდონის საუფლოე ავლო  
მოქმენი ვახდენენ





# რას მტრობას დაუქვავია...

ერთხელ უცხოეთში ყოფნისას ზოგს ფრანგი ვეგონე, ზოგს იტალიელი, მე კი სიამაყით ვცხადებდი, ქართველი ვარ მეტი. ახლა? ახლა ისეთი ამბავები ხდება საქართველოში, რომ წინაპართა ხსოვნა თუ არა, ნამდვილად შემოცხვებოდა ქართველობის აღიარება.

ჩემი აზრით, ნამდვილი ქართველი (თუძვირა ნამდვილი და არა — ნამდვილი რაღა უბედურება), გულწრფელობის, მამაცობის, სიმართლის, სინაზის, სისპეტაკის და კდემამოსილების სიმბოლოა. დღეს კი... ჩვენი ქალები ერთმანეთს გლუჯენ (პირდაპირი გაგებით), მამაკაცები ერთმანეთს სისხლს ღვრიან... კაცის კვლა უდიდესი ცოდვაა, ამის მკვლელობა უფრო მეტად სცოდავს. თავის მოკვლაც დიდი ცოდვაა, მაგრამ ცხონებულმა გია აბესაძემ საჯაროდ თავი იმითომ დაიწვა, რომ მოძველებული მშობლივანობა აერიდებინა, იგი იმ რწმენით წავიდა იმ ქვეყანაში, რომ ქართველები სათანადოდ პატივს მიაგებდნენ მის მსხვერპლშეწირვას და გაერთიანდებოდნენ, მაგრამ, ვი რომ მწარედ მოტყუვდა ეს დიდი ბავშვი — გული გამებზარა, გიას თავგანწირვას არავითარი სასიკეთო ცდილობა რომ არ მოჰყვა, თუძვირა ზოგს ისე აქვს გონება დახელებული, ზოგი ისეთი ფანატიზმითაა შეტყობილი, რომ მათ თვალწინ კიდევ ათეულობით ადაბიანი რომ დაილუპოს, თვალს არ დაახამებენ. ვი, რომ ასეთი ფანატიკოსები არც ღმერთს უყვარს და არც იმით, ვის პოზიციასაც ისინი იცავენ...

საბჭოების მოკლე წამოყალიბება მიყვარს, ახლაც პირდაპირ იმ საკითხზე გადავალ, რამაც ამ წერილის დაწერას გადაამწყვეტინა. საერთოდ, პოლიტიკურ საკითხებზე იწვიათად ვწერ, ახლა კი ჟურნალისტი რომ არც ვიყო, მაინც დაეწერიდა ჩემს გულსტკივილს. საქმე ისაა, რომ ჩემდა ჭირად, რუსთაველზე ვცხოვრობ, ფანჯრიდან რომ ტყვია შემოვარდეს, სულ არ გამიკვირდება, მაგრამ როგორ წარმოვიდგინო, რომ დღეს, 4 ოქტომბერს აფთიაქიდან (თავისუფლების მოედნის მხრიდან) მომავალ ავადმყოფს, სიცხიან ქალს პირველი საშუალო სკოლის აქეთ აღარ გამომატარებდნენ? ვეგევე და ვეგევე — სახლში მივდივარ, ავად ვარ, გამოშვით, გამატარეთ-მეთქი; პასპორტიც ვაჩვენებ, პირადობის მოწმობაც, გახსნილი ბიულეტენის ფურცელი და რეცეპტებიც. პირადობის მოწმობამ სულ დამლუპა, — ჟურნალისტი ყოფილა, არც უშვავით, — ერთდროულად წაიფრიალა რამოდენიმე. დიქტოფონი თან არ მქონდა, არც ფოტოაპარატი და არც ვიდეო გადაღებ, ვისთვის ვფიქრობდი, მაინც ვერ ვაფიქვებ. მამაკაცები და რამოდენიმე ქალი სხობოდა ცოცხალ კედლად ამაბრათულ პირტიტვლა ბიჭებს, რომ გავეტარებინე. ისინი კი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: ნაბრძანები გვაქვს არავინ ვაფუშავთ, თუ ჩვენს უფროსს ნახავს, ან მილიციელს, მაშინ ვაფუშებთო. საქმის ასეთი ერთგულემა მისასალმებელია, მაგრამ რაღაცა გამოაკლისები ხომ უნდა გაითვალისწინონ? ერთბა ახალგაზრდად თვალზე აფარა ჩემი საბუთები „ცოცხალ კედელს“ — კითხვა არ იყო? რამოდენიმე კი მილიციელის და უფროსის მოსაძებნად წავიდა. ამასობაში ჩემთან ნაცნობმა ქალმა მოირბინა, რომელსაც წლების მანძილზე ვიცნობ სიონის ეკლესიიდან. გამებარდა მისი დანახვა, ვიფიქრე სიტყვას შემაწყვე-მეთქი, ის კი მეკითხება: ვის მხარეზე ხარო? დღეთსა და საქართველოს მეთქი, — კონკრეტულად გვითხარია, შენ ჟურნალისტი ხარ და ჩვენთვის საინტერესოა შენი აზრი. არ მესიამოვება, ხაზი რომ ვაფიქვებ ჩემს პრიფესიას, იმ სიტუაციაში მე არ ვფიქრობდი როგორც ჟურნალისტი, მე მაშინ ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე ვიყავი, რიგითი ქართველი. თანაც არ მიყვარს, დაინებთ რომ მოითხოვენ ჩემგან რაღაცას და შევეცადე ამ ქალის თვალს მივფარებოდი, მაინც მომებნა და ჩამაცივდა, ვის მხარეზე ხარო, (მაშინ კი საბოლოოდ დავრწმუნდი, ჟურნალისტი და ექიმს სული რომ ამოსლოდეს, მაინც არ მოსაყვებენ) — ვის მხარეზე ხარო, — გამიფორა, დღეთსა და საქართველოს მეთქი, — ვაფუშებო — ეგ რა პასუხიაო! — ის პასუხია, რომ გინდა მარჯვენა მკლავი მომჭერი და გინდა მარცხენა, ორივე ერთიად მეტინება! რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მკლავიდან დავიცილები სისხლად! ესენიც ჩემები არიან და ისინიც, ორივე მტკიცია, ორივე მთავარი ის არის, რომ ამ დღებში ერთი რუსი ნიშნისგებით მუშენბოდა: სულ ესა ხართ ქართველებო?...

თუძვირა, ჩემმა მოსაუბრემ სიტყვა არ დამამთავრებინა, — აა, გასაგებია ჭველიფერი, ესე იგი შენ „ზევილისტი“ არა ხარ! არ ვაუშვით, არ ვაუშვით! ავად არის? აქ დაწვეს! ქულაში, ფეხს არ გადაადაგმევიოთ სახლშიო! რამოდენიმე შეეკამათა. მე ძალიან გამიკვირდა მისი საქციელი და ხმა აღარ გამიცია (ჩემში ისეთი საოცარი რეაქცია მოახდინა ამ ქალის მოქმედებამ, რომ სიტყვ საერთოდ გამომხდლდა), ვუფურბდი გაანჩხლებულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც, ალბათ, ყოველდღე სანთლებს ანთებს და სამოციქულოში ამოკითხული სიტყვები მაგონდებოდა: „რწმენა მკვდარ არს უსაქმური“. და კიდევ მაგონდებოდა უფლის სიტყვები: „იყუარებოდით ურთიერთ არს, რამეთუ ერთობით აღგარებდეთ“. — ღმერთი მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულით გვალარებს თავის შეილებად, თუ ერთმანეთს შევიძლებთ, მერე რამდენიც გინდა ვიძახოთ, „ჩვენთან არს ღმერთი! ჩვენთან არს ღმერთი“ — ო! მაინც არ იქნება ღმერთი ჩვენთან, რამეთუ „ღმერთი სიყვარულს არს...“ მარტო ღმერთის რწმენა ვერ გადავარჩინებს, ჩემო სიყვარულო ქართველებო! პირველ რიგში, სატანას სწამს ღმერთი, მაგრამ სიკეთის ქმნა არ ძალუძს. — საქმე! საქმე! მთავარი! ურწმუნოება ცოდვაა, რწმენა საქმის გარეშე კი ცოდვადაა და ფანატიზმიც. საინტერესოა, როგორ „მიხვდა“ ის ქალი, რომ მე ზვიადი არ მიყვარს და ოპოზიციის ვლთანაგრძნობ. ალბათ იგივე პასუხი ფანატიკოს ოპოზიციონერს რომ მოესმინა, მეტყვოდა: შენ ჩვენი-მტერი ხარ, ზვიადი გიყვარს (ვედარ ვაფიქვებ ამ ხალხს, ერთსა და იმავე სიტყვას ორ ადამიანს ეტყვი და ერთიმეორის საწინააღმდეგოდ დასცემს გამოიტანენ).

ზვიადობა პრინციპულად მოით — ენ, ურთულყო მათ იდეებს და გბუღდეს მოპირდაპირე მხარე. რატომ, ბატონო? რატომ?! მე სიძულელი არ შემოძლია, მე მთელი საქართველო მიყვარს, აქ „ყვე ცოთილიც“ მიყვარს, — სახარება მარტო მაგინდა დასაღებე წიგნი კი არ არის, მასში ჩაქოვდი სიბრძნის ცხოვრებაში გატარება უნდა. ზვიადი ტყვის: არ მესმის მკვლე ქართული და არც სახარება მიაქვსო. — კი, ბატონო, მაშინ ახალი ქართული ნათქვამი ერთ დროთან გამოთქმას შეგახსენებთ: „რაც მტრობას დაუქვავია, სიყვარულს უშენებია!“

ნანა ლავითაშვილი

P.S. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, (ფანჯრიდან მესმის), რომ სანამ ამ წერილს ბოლო წერტვლს დაუწყებამდე, შესაძლოა მასალა დაძველებული იქნებოდეს.  
P.P.S. მეორე დღეს, ტყვიის წვიმების შემდეგ, შემფოთებული მეზობლები ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით და ვკითხულობდით თუ ვინ ისრაილა პირველად, — მგონი, ჩვენებმა, — თქვე ერთმა, — რომელია ჩვენები? — აკითხა მეორემ (?!)

მეამხანაგე ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური კატასტროფის პირის არის. არადა ეკონომიკისათვის არავის სცხვლა. ასე იყო ყოველთვის. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკისათვის არავის ეცალა. ყველანი, მათ შორის ჩვენი თანამედროვენიც, საკუთარ პოლიტიკურ მიზნებსა და ამბიციებს უფარდებდნენ ეკონომიკურ პოლიტიკას, თბზავდნენ უტოპიურ და საზოგადოების დამანგრეველ ეკონომიკურ თეორიებს (მარქსიზმ-ლენინიზმი) ან მკედრეთით ალადგენდნენ უკვე გაკატრებულ მოძღვრებებს (კონვერგენციის თეორია), ან სულაც ახალს მოიგონებდნენ და შემდეგ მის შინაარსზე ფიქრობდნენ (სახელმწიფო კაპიტალიზმი).

ოპოზიციის მხრიდან ეკონომიკა და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა ყოველთვის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი იყო და არის. ოპოზიცია ყოველთვის „სწორია“, ყოველთვის ყველა შეცდომას ხედავს, ყოველთვის პირდება სიტუაციის გამოსწორებას, ყოველთვის იყო, არის და იქნება „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მომხრე და ცხოვრებაში გამტარებელი“. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება და როდის ოპოზიციაში, ეს ყველა ოპოზიციონერის მუდმივი პოზიციაა. მაგრამ როგორც კი ოპოზიცია ხდება პოზიცია, თან არამარტო ოფიციალური, არამედ მმართველიც (ეს ძალზე მნიშვნელოვანია, თუ გადაწყვეტი არა), ყველაფერი იცვლება და ძველ ოპოზიციას ვეღარ იტნობ. ის ძველ ოფიციალურ და მმართველ პოზიციას უფრო მოგავაგონებს, ვიდრე საკუთარ თავს, თუნდაც თეორიულად თვის უკან. მაგრამ საკმარისი ოფიციალური და მმართველი პოზიციიდან გარკვეული მიზეზების გამო ვიღაც ისევ დაუბრუნდეს ოპოზიციის რიგებს და ისევ ოპოზიციის პოზიციის გამაზიარებელი ხდება.

რას ხედავს? — არაფერი. ჭერ არასდროს, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ოპოზიციას, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა, არ შეუსრულებია ყველა თავისი პირობა, რომელიც მან წინასწარ მისცა ხალხს. ჭერ არასდროს, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ოპოზიციას არ უმატიებია ის დიდი შეცდომები, რომლებიც ხელისუფლებას გააჩნია. ჭერ არასდროს, არც ერთ ქვეყანაში ოპოზიცია და ხელისუფლება რადიკალურად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. როგორც იყო ხელისუფლება, ისეთი იყო ოპოზიციაც, ხელისუფლებაში მოსული ოპოზიციაც ამიტომ ჰგავს ასე წინა ხელისუფლებას და ახლანდელი ოპოზიციაც ამიტომ ჩამოგავს ასე წინა მომითქვეთ ყველამ, პოზიციამაც და ოპოზიციამაც, ჩინაანამაც და უჩინომაც, გადამდგარმაც და გადაყენებულმაც, გადასადგომმა და გადასაყენებელმაც, პარლამენტისათვის არ დაბადებულნო, მაგრამ მაინც იქ მსხდომნო, პარლამენტისათვის შესაფერისნო, მაგრამ ქულაში მდგარნო, არ შეიძლება: პირველი — არ შეიძლება, ქვეყანა მართოს „დისიდენტებმა“, დისიდენტური „დისკოლოგია არის უარყოფის, არსებულის შეცვლის, ნგრევის, წინააღმდეგობის ფსიქოლოგია, ის არ არის აღმშენებლობითი ფსიქოლოგია. დისიდენტს ყოველთვის წინააღმდეგობა უნდა უწევდნენ ხან გარეული მტრები, ჩვენს შემთხვევაში, ცენტრი, ამპერიული ბნელი ძალები, ან შინაურები, კრემლის აგენტები, იმპერიის დამპყმენი, „პუტინისტი“... ისე მას არსებობა არ შეუძლია.

მეორე — არ შეიძლება, ქვეყანა მართოს მწერალმა, კრიტიკოსმა, რწმინდრმა, ექიმმა, მოლოლმა, მეტალურგმა, ქუჩის მიტინგების ოსტატმა და სხვა სახელმწიფოს მართვისადმი შეუფერებელი პროფესიის პიროვნებებმა ქვეყანას უნდა მართავდნენ პროფესიონალი პოლიტიკოსები.

მესამე — არ შეიძლება, ქვეყანა მართოს მწიგნობარი და უტონტობა. ვინ უარყოფთ იმას, რომ საზოგადოება, სადაც ხელისუფლება მდიდრების ხელშია, უკეთესია საზოგადოებაზე, სადაც მდიდარი შეიძლება გახდეს, თუ შენს ხელში ხელისუფლება.

მეოთხე — არ შეიძლება ქვეყნის მართვას მოითხოვდეს ის, ვისაც ეს არ ძალუძს, ვინაც ეს არათუ ვერ შეძლო, არც და ვერც ეცადა.  
მეხუთე — არ შეიძლება ქვეყანა

იმართოს ნორმალურად, როდესაც საზოგადოების დიდ ნაწილს კერპთაყვანისმცემლობა მოსსალეზნა, უბრალო მოკვდავის სურათი ხატად უქცევია და მეორე მხარეს გასძახის: ეს თუ არა, აბა სხვა ვინო. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება კაცს, ასეთი დროიდისეული სიყვარული გარშემორტყმული კერპი მეორე მხარეს რომ იდგეს, მრავალი მათგანი იმათ ბანაკს მიასურდება.

მეექვსე — არ შეიძლება კითხვაზე: რა ხდება?, პასუხი: არაფერი, შესატყვისი იყოს არამარტო ისტორიული ანალოგიებისა, არამედ ნამდვილად არსებული სიტუაციისა.

სახელმწიფოში არაფერი არ ხდება. არა აქვს ფერი იმას, რაც დღეს აქტრიალდეს, რამაც აქამდე მოგვიყვანა. უტყვია ეს ყველაფერი, უხმო, უფერო რატომ? იმტომ, რომ ქვეყანას არათუ არ, ვერ მართავენ და იქ, სადაც

არ შეუძლიათ მართვა, იქ, სადაც ეწინააღმდეგობა გასდებოდა ხელისუფლების დაკარგვისა, იწყება ყოველმხრივი და ყოველსომოკველი შეზღუდვა, კონტროლი, დაძალება. სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება ნიშნავს ცენტრალური მმართველის, კონტროლის, დაძალების არ არსებობას. თავისუფლების პირველი მტერი ყოველთვის იყო და იქნება დაძალება და შეზღუდვა მომდინარე მონარქიდან, დიქტატორიდან, ოლიგარქიდან ან წუთიერი უმრავლესობიდან.

რა გინდა და რას ვესწრაფვით? — თავისუფალ საზოგადოებას! ამის საფუძველი კი თავისუფალი ეკონომიკაა, თავისუფალი ბაზარია, ისეთი ეკონომიკური ორგანიზაციაა, რომელიც უშუალოდ იძლევა ეკონომიკურ თავისუფლებას, ხელს უწყობს პოლიტიკურ თავისუფლებას. ის ანსხვავებს ეკონომიკურ ხელისუფლებას პოლიტიკურისაგან და მისი მაწინასწარმებელი ხდება. ბაზარი ხელს უწყობს ეკონომიკურ სიმძლავრეს, წინ აღუდგეს ხელისუფალთა პოლიტიკურ ძალაუფლებას და არა გაამაგროს ის.

თავისუფალი ეკონომიკა ხალხს აძლევს იმას, რაც ერთ სურთ და არა იმას, რაც გადაწყვიტა ადამიანთა მცირე

ჯგუფმა, მიეცა ხალხისთვის. ასეთი ეკონომიკის შექმნა, ე.თ.თავისუფალი საზოგადოების საფუძვლის შექმნა შეუძლიათ კაპიტალისტებს! ჩვენ გვერდება კაპიტალისტების „კლასი“, ხალხი, რომელიც ყოველთვის მომხრეა თავისუფლების; ხალხი, რომელიც ყოველთვის მომხრეა ლიბერალური კანონების, მაგრამ ამ კანონთა უსიტყვო და უპირობო უზენაესობის; ხალხი, რომელიც ვერასოდეს ვერ აიტანს დამატებითადაც, მერყეობას, დენთის სუნს. ჩვენ გვერდება კაპიტალისტები, საკმის დამწყვენი და გამკეთებელი, სიტყვის ხალხი. ეკონომიკური და პოლიტიკური განვანა სწორედ ასეთი ხალხი უნდა გამოვიდეს, უნდა გამოვიდეს, მოძლიერდეს და უპატრონოს ქვეყანას. უფრო მეტიც, საქართველოს სჭირდება არამარტო „კლასი“ კაპიტალისტებისა, როგორც გარანტი ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებისა, სიმშვიდისა, არამედ

# წინ, წინ, კაპიტალისტებო!

საქართველოს სჭირდება მთავრობა კაპიტალისტებისა. ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ უკეთესად მართავს ქვეყანას მესაკუთრე, ცხოვრების წესით თავისუფლებისა და სიმშვიდის, კანონების უზენაესობის მომხრე ადამიანი. ასეთი კაცი არ ეცდება სახელმწიფოს, ე.თ.ხალხის ხარზე იცხოვროს, აცხოვროს ოჯახი, მეგობარ-ნათესავები, იქონიოს არაერთი ბინა, ავარჯი. ის ამას ყველაფერს თავისი ფულით, თავისი ტვირთით და საქმი ნაშრომი ფულით იყიდოს, თუ მანამდე არ იყიდა. ისინი შექმნიან ისეთ საზოგადოებას და სახელმწიფოს, სადაც სახელმწიფო დაიცავს საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს, ხოლო საზოგადოება ყოველთვის ეცდება ძლიერ სახელმწიფოში იცხოვროს.

მიხეილ ზაქარაიანი  
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

## კომპარციული შირმა „პარტინორი“ შირმა „რიმექსთან“ და საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო ტექნიკური და კომპარციული გამომუშავების ცენტრთან

ერთობლივად აწყობს ბიზნეს-კავშირს ხმელთაშუა ზღვაში ეგვიპტე-დღედი 11 დეკემბრიდან 26 დეკემბრამდე შემდეგ მარტო-ტოქო: თდეცა-კვიპაროსი-ეგვატტე-თურქეთი-მსურველებს შეუძლიათ კვიპაროსიდან იმეჯ-ზაურონ-ისრაი-მა შემდეგი მარტო-ტოქო-ხაიფა-იფრა-სალამი-თელავი-გომე-იქნება შეგვედრები საქმიან წრეებთან, სადაც შეგვა-თად-გვა-აფთარმით-თქვენითვის ხელსაყრელი ხელმეცარულდებნი, შეგა-ვალით-ინგლისურ-ენას, მოწყვება კულტურულ-განათობი-ა-განამეცი-კრუხის დამთავრებისთანავე მონაწილეებს მიეცემა საერთაშორისო ბიზნეს-სკოლის დიპლომები. კრუხის დინებულების ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც გადაიხსენოთ, ასევე ნად-ანგარიშზე მანიეგებმა ცნაბებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართზე: ა-წერეთლის გამზ. 118, საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო ტექნიკური და კომპარციული გამომუშავების ცენტრში (ყოფილი კინოთეატრ-კოსმოსის შენობაში) ტელ. 34-73-81.

კერპითა ყვანისმცემლობა

კერპითა ყვანისმცემლობა კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ჩაისახა. ზიგმუნდ ფროიდი თხზულებაში „ტოტემი და ტაბუ“ დაახლოებით ასე ხსნის ამ მოვლენის წარმოშობას: როდესაც ნეანდერტალელი წამოიზარდა და მშობლები ხელიდან გამოეცალა, მიხვდა, რომ აღმოჩნდა შეუცნობელ, პირქუშ და დაუნდობელ გარემოში, ყოველგვარ დაცვასა და თანაგრძობას მოკლებული. მასში იმძალავრა მარტოობის სინდრომი, ობლობა ტანჯავდა, უძლიერებდა შიშისა და უსუსურობის გრძობას. ბავშვობის დაუოკებელი ნოსტალგია მამას ახსენებდა, რომელიც ყოველ წამს მზად იყო ეხსნა თავისი პირშუო განსაცდელისაგან, ეზრუნა მასზე, სწორედ ამან მისცა ბიძგი ბრველყოფილი ადამიანის ფანტაზიას და შთაგონა შექმნა მფარველი ღვთაება — კერპი, რომელიც მშობლის მაგივრობას გაუწევდა, დაიდარავდა ათასგვარი ბოროტი, შავბნელი ძალისაგან, მოაპოვებინებდა საზარდოს, მოუსპობდა შიშსა და უიმედობას, ხოლო თვითონ, თავის მხრივ, განიმსჯვალეობდა მისდამი მორჩილების, მორიდებისა და თაყვანისცემის გრძობით. ეს აღმოჩენა ისე მოეწონა ჩვენს წინაპარს, რომ ადვილად დაიჭერა, შეეგუა საკუთარი ფანტაზიის ნაყოფს, დაწყნარდა და იმედინად განაგრძო ცხოვრება.

მას შემდეგ მრავალმა ათასწლეულმა განვლო, მაგრამ ადამიანი კვლავ გულმოდგინედ განაგრძობს წინაპართა საქმეს — თხზავს კერპებს პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ... რაც გარკვეულად უაღვილებს ცხოვრებას!

კერპი შეუპოვარი, თვითდაჭერებული, ბრძენი, შორსმჭვრეტელი და მოშიზობელია. იგი ადამიანის ნაცვლად აზროვნებს, აიმედებს მას, აწესრავებს პრობლემებს და თუ ადამიანი ყველაფერთან ერთად მორჩილი და დამკვირივ იქნება, კერპი იცავს მას სოციალურად, უზრუნველყოფს კომფორტით და სხვა სიკეთეებით... ვინ იტყვის უარს ასეთ მადლზე.

ქრისტიანობაში თავის დროზე სასტიკად დაგმო კერპითა ყვანისმცემლობა და მოწიფოდა ადამიანს: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი... არა თაყვანი სცე მათ და არცა პმსახურებდე მათ“, მაგრამ ცდუნება იმდენად დიდია, რომ ადამიანი დაუზარებლად განაგრძობს კერპით შემოქმედებას, ქმნის მრავალგვარ ღვთაებებს, კულტებს, ბელადებს, მიაწერს მათ ზებუნებრივ უნარსა და ნიჭს, ძალასა და შესაძლებლობებს და განსაკუთრებული მოწიფების ობიექტად ხდის. ხოლო თუ, ღმერთმა დაიდაროს, ვინმემ გაბედა და რაიმე ხინჯი აღმოუჩინა ან ვერ შეეწყო თავფეხებულ კერპს, ადამიანი მზად არის წამსვე თვალები ამოკაწროს ასეთ თავზედს. ამდენად, კერპის კრიტიკული შეფასება ყოველად გამორიცხული და დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ კერპითა ყვანისმცემლობა ნაყოფია ადამიანის უსუსურობისა, უუნარობისა და უბირობისა და არსებულ სინამდვილეს, მოიშორებს კომპლექსებს, დაფიქრდეს და გააკეთოს თუნდაც მცდარი, მაგრამ დამოუკიდებლად განცდილ-გაანგრეული დასკვნები.

რაც უნდა პარადოქსულად მოგვიჩვენოს, კერპითა ყვანისმცემლობა თავისი ბუნებით ძლიერ წააგავს თავდავიწყებულ სიყვარულს. ხშირად გვსმენია — სიყვარული ბრძაო. მართლაც, გამოუცდელი მიჯნური ხშირად ისეა გატაცებული სატრფოთი, რომ სრულიად კარგავს რეალობის ობიექტურად აღქმის უნარს და ილუზიების ტყვეობაში ექცევა. ასეთი მიჯნური თავის წარმოდგენაში ქმნის იდეალის ხატს — კერპს და მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე. ასეთ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ცდუნებულზე ზემოქმედება, მისი გადარწმუნება, რადგან სასურველი სარწმუნოდ ერგვნება და განსხვავებულ აზრს არ იკარებს. ხოლო როცა სიყვარულის პირველი ტალღა გადაივლის და ყველაფერს ნათელი მოეფინება, ჩვენი მიჯნური გაცრუებული იმედების ამარა რჩება, რადგან თურმე, რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის. აუხდენელი ოცნებები და საკუთარი შეცდომების აღიარება ალავ ხნებს ხოლმე ადამიანს და ხშირად ჯავრს იმაზე იყრის, ვისაც ცოტა ხნის წინათ იდეალად თვლიდა და აღმერტებდა.

ციხველები საგნებს მხოლოდ ორ ფერში აღიქვამენ — თეთრად და შავად. მათთვის ღმერთს ფერების გარჩევის უნარი არ მიუცია. ხოლო ადამიანს ასეთ უნართან ერთად, მამაზეციერმა მისცა ფიქრისა და აზროვნების ნიჭიც, რათა ობიექტურად და სრულად შეაფასოს ყოველივე, რაც მის ირგვლივ ხდება. მაგრამ თუ ამ უნარს ადამიანი არ იყენებს და ილუზიებით ცხოვრობს, იმ პირუტყვს ვისგავსება, რომელიც შავ-თეთრად უყურებს ამ ცხოვრებას და აქედან გამომდინარე აღიქვამს მას.

კერპი თავისთავად ვერ აღმოცენდება და დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. მას სჭირდება გარკვეული ნიადაგი, გარემო; რომელსაც ქმნიან აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების უნარს მოკლებული უნიციატეივო, პლემბური ფსიქოლოგიური წყობის ადამიანები, რომლებიც მუდამ ეძებენ ბატონს — განმკარგულბელს. ამიტომ, რომ კერპი კარგად ეგუება ტოტალიტარიზმით დადღილ და გამოფიტულ საზოგადოებას, რომელშიც გათავისებულია მონური არსებობის ჩვევა და განსაკუთრებით დიდია განცხრომით ცხოვრების წყურვილი.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის იმპერიაში შესანიშნავი პირობები შეიქმნა ახალი კერპის შესაქმნელად. უწიგნური, ბნელი და მშვიერი მასა მზად იყო ერწმუნა ახალი მესია, რომელიც გამოავლენდა ხალხის მტრებს, პროვოკატორებს, უძლეველი იმპერია დანგრევის პირას, ხოლო რუსი ხალხი უკიდურეს ტანჯვა-წამებამდე რომ მიიყვანეს. საჭირო იყო განტევების ვაცი, ზვარაკი, რომელიც რისხვას გაუწელებდა აღმფოთებულ ბრბოს და კვლავ თვინიერ, შრომისმოყვარე სახელებზედ — ქვედა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ისტერიის პორიონტზე ახალი კერპი, კაც, არიობის „მხსნელი“ ბელადი — ლენინი, რომელიც, კომუნისტური სატყუარით შეიარაღებული, ციურ მანანასავით მოველინა დამაშვარლ ბრბოს.

„ხალხის მტრების“ პოვნა ლენინს არ ვასჭირვებია — „კტო ნეუ ნამი, ტოტ პროტივე ნასი“ განაცხადა მან და სისხლის აბანო მოუწყო ყველას, ვინც მის იდეოლოგიას არ იზიარებდა. „ცარ-ბატყუშკა“ და ქრისტიანული მორალი დისკრედიტებული იყო და მშვენიერ სანიშნეს წარმოადგენდა სისხლს მოწყურებულ შურისმაძიებელთათვის. განკითხვის დღემაც არ დააყოვნა და მეფემ ეკლესიასთან ერთად ყავლგასული კერპის ბედი გაიზიარა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ინტელექტუალური დონის საზოგადოებაში შეიქმნა ლენინის, ხოლო შემდეგ სტალინის კერპი, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი სტალინის ბროშურისა: „მარქსიზმის შესახებ ვნათმეცნიერებაში“; ჩვენ ერთ დროს გვაყავდა მარქსისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაჩინილი რკინიგზები ბურჟუაზიულია და ჩვენ ამ რკინიგზებით არ უნდა ვიხარებოდეთ, არამედ ისინი უნდა აგვაროთ და ახალი, პროლეტარული რკინიგზა გავიყვანოთო... ჟრუანტელი დავივლის კაცს, როცა გააცნობიერებ, თუ რა სულიერი კატეგორიის ადამიანები გვიშენებდნენ ახალ ცხოვრებას. კულტზე მოცინებენი დღესაც მოითხოვენ „მაგარ ხელს“, ენატრებათ ის დრო, როცა თვალცრემლიანებს, ბელადის სახელის ძახლით ხმანახლენილებს ტაშის კვრით ხელმეზე ტყავი ძვრებოდათ. ასეთებს ხალხი ნახირო ჰგონიათ, რომლის მორატულბა მხოლოდ შოლტით შეიძლება. ეს ის ადამიანებია, რომელთა ოცნების ზღვარი „მოყვარულთა“ ძებნა და შებოლილ თართს არ სცილდება. მაშინ

ყველაფერი იყო, გაიძახიან და იმას კი იფიწყებენ, თუ როგორ გაჰყავდა ლამობობით სახლებიდან სუკს ათასობით უღანაშუალო ადამიანი, როგორ უყენებდა მათ ციხიროს სუსხიან გზას, როგორ ინგრეოდა ოჯახები და როგორ იესებოდა ბავშვთა სახლები ობლებით...

უნიტარიზმის შედეგები კვლავ ღრმად არის გამჟღარი ჩვენი საზოგადოების შეგნებაში. შეეჩვიეთ იმას, რომ პიროვნება უნდა აღიქვამეთ ან აბსოლუტურად დადებითად ან ყოველმხრივ უარყოფითად. ე.ი. ან უნდა შევიძლოთ ან ვდგენილეთ, ან სიგიჟემდე შევიყვაროთ და გავალმერთოთ. პროკრუსტეს სარეცელი ისევ შტამპავს ერთსახა კერპებს, რომლებსაც ღვთაებრივ მინტაში ვიხვევთ და ვაფიქრებთ. ვწმენდთ და ვაშალაშინებთ ჩვენი კლასიკოსების ბოღრაფიებს, რომელთა უმრავლესობაც წვეთი წყალივით წააგავს ერთმანეთს. ეს კი ამციერებს და შეურაცხყოფს მათ ხსოვნას, რადგან ყოველი პიროვნების სიცოცხლე თავისი განსაკუთრებულობით არის მიშვიდველი და საინტერესო. განგების მიერ ადამიანის ბუნებაში ჩადებული კეთილი და ბოროტი საწყისი, მათი დაპირისპირება განსაზღვრავს პიროვნების ფორმირებას, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს და ქმედების თუ შემოქმედების გზით რეალიზდება. სწორედ ეს არის ცხოვრება, ბიოგრაფია და არა საუკეთესო თვისებების რეკლამა და აფიშირება.

ამერიკელი მწერალი ოპტერნი სიყვარულის, პუმანიზმისა და შალალი ზნეობის მქადაგებლად გვევლინება. იგი ჩვეულებრივ ბულალტრად მუშაობდა, ფული გაფლანგა და ციხეში მოხვდა, სადაც გართობის მიზნით თავშესაქცევი ნოველების შეთხზვა დაიწყო, ხოლო შემდგომ, როცა უკვე ცნობილ მწერალს, ჟურნალისტიკაში ჰკითხეს, რატომ გახდით მწერალი, მან დაუფარავად აღიარა — მწერლობა ფულის შოვნის კარგი საშუალებააო. დამეთანხმებით, ასეთი დამოკიდებულება მწერლის პროფესიონალიზმში ჩვენთვის უჩვეულოა, მაგრამ ი პენრი თავისუფალ ქვეყანაში, თავისუფალ ადამიანთა შორის გაიზარდა და არ დასჭირვებია ვინმესთვის თვალში ნაცარი შეეყარა. არც მის ბიოგრაფებს მოსვლიდა აზრად, შეეთხზათ მითი იმის შესახებ, თითქოს იგი წმინდა ტრადიციების ოჯახში აღიზარდა და კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის პრინციპებს ბავშვობიდან ვზიარა, და ეს გახდა მისი შემოქმედების საფუძველი. არც ცნობილ მწერალსა და პოეტს ედგარ პოს დაჰკლებია მნიშვნელობა ამერიკელი ხალხის თვალში, თუმცა იგი სიცოცხლის ბოლომდე ნარკოტიკებს ეტანებოდა.

იბოლიტ ტენი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და ხელოვნებათმცოდნე, თხზულებაში „ხელოვნების ფილოსოფია“ შენიშნავს, რომ ბუნებამ ვერ შეძლო საკმარისად ძლიერი და თვალსაჩინო ბეჭედი დაესვა იმ საგნებზე, რომლებიც მის კვალს ატარებენ, ადამიანი გრძობს ამ ხარვეზებს და ამ ხარვეზების შესვსებლად მიმართავს ხელოვნებას. ამასთან, ყოველ ხელოვნან აქვს საკუთარი ხედვა, ხელწერა, სტილი, რომელიც მას გარკვეული საზოგადოებისა და სოციალური მდგომარეობის, შინაგანი ბუნებისა და ცხოვრების წესის გავლენით უყალიბდება, რაც ნათლად აისახება მის შემოქმედებაში. მაგალითად, ფიროსმანს ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ არისტოკრატული საზოგადოების პირშუოდ, ფრაკიან, თეთრბაფთა შემბულ ფრანტად. იგი ჩვენს წარმოდგენაში დგება გაცრეცილი სამოსით, გაუპარსავი და ნამთვრალევი, რომელიც „ორთავალის ტურფას“, „აქტრისა მარგალიტის“, „მელდინე სარქისას“, „მეზუოვეს“ და ათასგვარ ნატურმოტრს ხატავს გატაცებით. ასეთი იყო ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება, მისი კოლორტი, ამით არის იგი ჩვენითვის ძვირფასი და განუყოფელი.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ გალაკტიონით, სამართლიანად ვუწოდებთ მას პოეზიის მეფეს, სამართლიანად ვფიქრობთ უკიდვანო პოეტური სამყაროს პიროვნებად, რომელმაც ბევრი ისეთი რამ განგვატყვევინა, რასაც უმისრდ ვერ მოვახერხებდით, მაგრამ ეს არ არის საბაბი იმისთვის, რომ ჩვენი პოეტი ეგრეად ვაქცეოთ, გავიდვლოთ და გავაზვიადოთ მისი პიროვნული თვისებები, თვალი დაეხუტოთ იმაზე, რომ მისი ღირა ყოველთვის არ მღეროდა ჭეშმარიტ სიმღერას, ხოლო როცა წაართვის ძვირფასი ადამიანი, ვერ ჩაება უთანასწორო ბრძოლაში და სულიერ ტკივილებს ღვინით იყურებდა. შეიძლება იური კოროტიკოვის ის კაცო არ არის, რომელმაც ასეთი საკითხები უნდა გამოგვიკვიროს, მაგრამ, როცა წერს: „ღმნ ნაჩალ პისატ ვერნობოდანიჩესკიე პოემი“, არ უნდა აღეშფოთდეთ და სუკის აგენტი არ უნდა ვუწოდოთ (გაზ. „ლ.ს.“ 8.3.1991 წ.) თუ კვლავ კერპით შემოქმედებით არ ვართ გართული, რადგან ყველას მშვენიერად გვესმის, რომ გალაკტიონი არასოდეს ყოფილა სამოქალაქო პოეტი, მისი შემოქმედებითი მრწამსი შორს სცილდება პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროს. ხოლო თუ მის პოეზიაში გვხვდება მისთვის არაორგანული მოტივები, კარგად ვიცით, რატომ და რისთვის. მთელი სიმართლეს თვლებში, ვიყიოთ ობიექტურად, რამეთუ ვერავითარი ბრალდება ვერ მიყენებს ჩრდილს გალაკტიონის უკეთეს პოეზიას. ალბათ ამასვე გულისხმობდა ბატონი აკაკი ბაქრაძე, წიგნში „მწერლობის მთავინიერება“; „გლაკტიონი გმირი არ იყო, სრულიად საკმარისია, რომ იყო გენიალური პოეტი“.

ამავე წიგნში აკაკი ბაქრაძე ეხება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას: „კ. გამსახურდია ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც სახლო პური მიწაქვს და უკან კბილდარტყნილი ქოფაკი მოსდევს. პური რომ შინ მიიტანოს და თავად ძაღლის დატენას გადაურჩეს, იძულებულია დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუღლოს; დროებით შეაჩეროს და სახლოში შეასწროს. მთელი ცხოვრების მანძილზე ასე გაუბზობდა მწერალი უკანდადევნებულ საბჭოთა ხელისუფლებას. ხანდახან უყრდია მწერლური პურის ნატეხს — „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ ბუნებრივ სიკვილამდე მიეღწია და ქართველი ხალხისათვის დაეტოვებინა „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“.

ძნელია არ დაეთანხმო ჩვენი კლასიკოსის რთული ცხოვრების ასეთ შეფასებას. ახლა ძნელიც კია იმის თქმა, თუ ვისი გოლგოთა იყო უფრო რთული და საპატიო. მათი, ვინც ორგანულად ვერ შეეგუა ტოტალიტარიზმს და უთანასწორო ბრძოლაში ფიზიკურად განადგურდა თუ მათი, ვინც კომპრომისზე წავიდა, დაუთმო ძალას და უკიდურესი სულიერი გვემის პირობებში არ დააშრო ის წყარო, რომელიც ეროვნულ ცნობიერებას კვებავდა.

ახლა სხვა დროა, სხვა ვითარება. ჩვენი საზოგადოება დღეს იმ გამოუცდელ მიჯნურს წააგავს, რომელსაც არასოდეს გაუკეთებია არჩევანი, თავისუფლება ჩვენთვის ის პირველი სიყვარულია, თაბრუს რომ დაგახვევს და ილუზიათა ტყვეობაში მოგაქცევს. ამიტომ დროზე უნდა გავთავისუფლოთ სტანდარტული აზროვნებისაგან, თვეი მივანებოთ ფასადების გაკონტაგებას, კონსერტიკის და ერთ ქირზე ტრა-კეჭვას, რათა რეალურად შევადგათ სინამდვილე. ვაჟა-ფშაველა სიმართლეს ეკლბარდებში ჩაკარგულ, მოცხვად თავდახრილ იას ადარებდა, ასევე ჩაიკარგა ვაჟას პუმანიზმი ჩვენი ეპოქის დეგრძლიან ცინიზმში. მოდი, მოვაშროთ ეკლბარდები სიმართლეს; დავანახოთ მშის შუკი და ყველამ ერთად შევიძებოთ — კმარა, აღარ გვინდა კერპები!

რევაზ საღუნისვილი, მარნეულის რაიონის სოფელ ხონის საშუალო სკოლის მასწავლებელი




# საქართველოს სინათლე და გაერო-საერთაშორისო კავშირი

დღეს ყველა ქართველი, ყველა პატრიოტი კაცის საფიქრალი ერთია: საით მიდის საქართველო, რა მოვლის მას?

მკითხველს, ალბათ, ახსოვს შარშან გაზეთ "თბილისში" დაბეჭდილი ქ-ნ ნარგია მგელაძის წერილი "სამყარო ყავის ჭიქაში", რომელიც შემდეგ იუგოსლავიის ჟურნალში "ტინი" დაბეჭდა. ამის შესახებ ჩვენმა სატელევიზიო პროგრამა "მოამბემა" ამცნო ტელემყურებელს.

პუბლიკაციაში მოთხრობილი იყო ცნობილი ბიოგრაფიკორექტორის ქ-ნ მარგალიტის შესახებ, რომელიც ყავის ჭიქაში დაინახა, ხოლო შემდეგ ამხატა და თავისებურად ახსნა კიდევ ზოგი სიმბოლო, რომელიც წინასწარმეტყველურადაც კი ქრებდა.



ამ პუბლიკაციაში ერთგვარი აქიოტაჟი გამოიწვია.

გუშინ რედაქციაში გვეწვია ქ-ნი მარგალიტის და მოგვითხრობდა ახალი ნახატი "რა მოვლის საქართველოს?"

ქ-ნი მარგალიტ ასე ხსნის თავის ხილვას:

ის, რაც სატელევიზიო, ბნელია, რაც ხელს უშლის ჩვენს ერთობას, ეს სწორედ ის გარეშე ძალაა, რომელიც წინ ელოდება ჩვენს თავისუფლებას, და ის უკვე დათრგუნვის პროცესშია.

ზემოთ კი ვაბუჯი ისწრაფვის სინათლისაკენ, რომელიც საქართველოსათვის განგებას — ფასკუნჯს მოაქვს.

საქართველოს სიმშვიდე, სინათლე და გამარჯვება ელის.

**28 სექტემბერს** და 5 ოქტომბერს გამოქვეყნებული პროგნოზისა და გაერთიანების მიუხედავად 4 და 5 რიცხვებში ისევ ვერ შევქმენით კონსილური ავადმჯობელები ცდუნებისაგან თავის შეკავება. ისევ გაერთიანდნენ პოლუსები "მოსახლეობა" + "მშობლივლობა" + "მსხვერპლი". საქართველოში ისევ დაიღვრა ქართული სისხლი და ამ ძალმომრეობას ვეღარ იტანს ვერც მიწა, ვერც კოსმოსი და ვერც ბუნება.

როგორც ნავარაუდევია იყო (იხ. "ახალგაზრდა იუვერალი" 28.IX), 5 ოქტომბერსათვის საქართველოს ტერიტორიაზე დაგროვილი უარყოფითი ენერგია გარდამავალი უარყოფითი ბუნებრივი ეკოლოგიური ენერგია, 5 ოქტომბერს 4 საათსა და 46 წუთზე თბილისში მოხდა "საკუთრდ მკაფიოდ აღსაქმელო 3-4-ბალიანი მიწისძვრა", რომელსაც თან დაჰყვა ისევ ნავარაუდევო "კატასტროფა საგზაო-კომუნიკაციური სისტემაში" — 7 ოქტომბერს 4 საათსა და 50 წუთზე კოპიტანარ-სამტრედიის გადასარბნე საარკინო ლინდარდვიდან გადავიარა სამგზავრო მატარებელი.

"ახალგაზრდა იუვერალი" 21.IX პუბლიკაციაში უკვე აღვნიშნეთ თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მცირე ტიპის მიწისძვრის ბიძგებს რკინიგზის ავარიებთან...

ყოველ შემთხვევაში, დააკვირდით როგორ გაიზარდა ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები, დარღვევები საგზაო-საკომუნიკაციო სისტემაში. მნიშვნელოვანი ავარია რკინიგზაზე, ტრანსპორტისა და მოძრაობის ნიადაგ თანხლებადი ბლოკირება, პიკეტები, მიწისძვრით დაზარალებული რაიონებისათვის განკუთვნილი მანქანების მოცდენა და, რაც მთავარია, ტელევიზიის სისტემის ერთიანი მოშლა, რომელიც, როგორც ცნობილია, კომუნიკაციის სისტემას განეკუთვნება. ყველაფერი ამის მიზეზი კი ჩვენს მიერ უკვე ნახსენები (იხ. 28.IX) სოციალური და პოლიტიკური კრიზისის თანხლებადობაა.

უკვე არსებობს მეცნიერული მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ ჩვენს გარემო მყოფი ყოველგვარი ცოცხლის პირდაპირ და მოკიდებულებას ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან და ზოგად ფსიქოლოგიურ ატმოსფერო-

გაგრძელება. დახაწვისი იხ. № 108-114.

**ჩვენ, ცა და ქვეყანა**

**საქართველოს რესპუბლიკის კოლარობრამა დამოუკიდებლობის გამოცხადება:**

**თბილისი: 1991, 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.**



**ყოველკვირეული ასტროლოგიური ანალიზი (28 სექტემბერი 5 ოქტომბერი) და პროგნოზი (12-19 ოქტომბერი)**

სთან, რომელიც საზოგადოებაში სუფევს. მას ისევე შეუძლია მოწამლოს ბუნება, როგორც გამოწამლოს ადამიანი და სხვა (იხ. "ზნანიე სილა", № 8, 1991, გვ. 20-21).

ამიტომ შევეცადეთ მომავალ კვირაში მაინც ნულარ მოგვინაღვეთ ერთმანეთს და ბუნებას. ის ისედაც აღარ გვეწყობს და თუ 12, 13, 14, 15 და 16 რიცხვებში ისევ მივძვალეთ ქიშხსა და ძალადობას (როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეს ყველაზე დაძაბული დღეები იქნება ოქტომბერში), მაშინ 12-ში ნავარაუდევო 3-4-ბალიანი მიწისძვრის ბიძგე, შეიძლება გამოვლინდეს ამ დღეს ჩემთვის უცნობი, რაღაც სხვა ანომალიით და უფრო მკაფიოდ კი წარმოჩინდეს 14-დან 15 რიცხვებში.

ამავე დროს, იზრდება პოლიტიკური საფრთხე, რაც გამოვლინდება ლოკალურ ექსცესებში, რომლებიც ასე გაზმირდა ამ ბოლო

დროს თბილისის ქუჩებში "უიტილება მოხდეს ისე, ურბანო-ოტიზმის" მასობრივი ეფორიის მსგავსი ვნებათა ღელვა...

საზოგადოებრივად ვერჩევთ სამუშაო ადგილებზე, სამსახურებსა და უწყებებში იღვწონ.

მომავალი კვირის კონსილური სარტორიანობის სიტყვებია: "იკითხეს: სახელმწიფოს განმგებლობა რას გულისხმობს? მასწავლებელმა უბასუხა: თუ არ ხარ შესაბამის ადგილას, ნუ განსჯი და ნუ თათბირობ სახელმწიფო საქმეებს".

**ლ.ნ.ა კონსაძის**

**რედაქციის განმარტება**

ჩვენი გაზეთის 1 ოქტომბრის ნომერში გაუყვეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თვადცვის შტაბის მიერ 1991 წლის 28 სექტემბრის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად დავებეჭადეთ დასაბუთებულ პასუხს. მართლაც, ჩვენმა ავტორმა, ბატონ გ.გ.მ გადმოგვცა ვრცელი საპასუხო წერილი, რომელსაც, ალბათ, სხვა დროს შემოგვავსებთ.

რაც შეეხება ჩვენს ავტორს — გ.გ.მ, იგი არის კიბერნეტიკოსი და სოციალოგი. დაიბადა 1950 წლის 1 თებერვალს. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. არის სოციალური სინტეზის დინამიკისა და სოციალური ეკოლოგიის სპეციალისტი. მისი კვლევები ინტერესს სწავრობს კონსილური ასტროლოგიისა და დღევანდელი საზოგადოების შედეგები ანალიზისა და პროგნოზირების არატრადიციული მეთოდების ხფეროში. გათვლილი აქვს საქართველოს მომავალი განვითარების ტენდენციები დროის ციკლური და წრფივი მარყუტების მიხედვით, გაკეთებული აქვს სხვა და სხვა სახის პროგნოზები.

დაბოლოს, უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი გ.გ. თავისას არ იშლის და ასტროლოგიის სფეროში დაუწერელი ტრადიციის თანხმად შემდგომ ანალიზს და პროგნოზს გამოქვეყნებს ფხველნიშნით "ბ-ბატი". როცა ვაოცებულეხმა ვკითხეთ, რატომ მაინც ვაიხილ "ბ-ბატი", მან დამიღიოთ გვიპასუხა, რომ ეს საიდუმლოა და ფარდა აეხდება მასში, როცა დაინტერესებულ მკითხველთა გამოხმარებას მივიღებთ დღემდე გამოქვეყნებული ანალიზისა თუ პროგნოზის შესახებ.

**წერილები რედაქციას**

**გია გვაჯობა უთვალ ქართულს, დიდსა და მცირესა**

მე მიმაჩნია, რომ გია აბესაძე მაღალი ინტელექტის სპეციალისტია, ემიში და მოღვაწე, არც სულიერი დეპრესიით ბასიადღებოდა, არც სხვა თვადმყოფური მოვლენები აწუხებდა, რასაც ზმირად უგუნურნი, ფაქტის მიზეზად ასახელებენ და ქილიკობენ. იგი იყო კაცი უბრალო მოქალაქეობრივ სულისკვეთებით აღმატებული პაროქიების ქაშს მოიგონებენ და მითმშვიდობას და სიყვარულს შეინარჩუნებენ.

**3030 ელიაბა,**  
**მარტვილის ერთგული მუშეუმის დირექტორი, ასტორიის წყნარებათა კანდიდატი.**

**მიტინგების ქვეყანა**

უცნაური ხალხი ვართ ქართველები: თითქმის ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ერთიანად ქართველი ვართ — პოლიტიკოსობამ გავავტოვა და თუკი სამე სამი-ოთხი ადამიანი მაინც შეიკრიბა, სახელდახელო მიტინგი იმართება. ქუჩაში და მოედანზე კი არა, ამასწინათ ასეთი "მიტინგი" თვით ტროლეუსშიც გამართა...

დილით ჩვეულებრივად სამსახურში მივდიოდი და როდესაც ჩემს განერებასთან შეეჭვსე მარტვილის ტროლეუსის ჩამოღება, მძღოლს შევეკითხე, რუსთაველის პროსპექტი ისევ გადაკეტილი ზომ არ არის მეთქი. ჩემს კითხვაზე მძღოლმა საქმოდ უხეშად და

გამომწვევად მიბასუხა — "აბა, მე რა ვიცი... ჯერ მივიფიქრო და თუ გაინტერესებს, ეგ კანტურისა კითხო".

— კანტურია დაკავებულია და პატარას როგორ შეუძლია მთავრობის სასახლესთან ქუჩის გადაკრება-მეთქი — უპასუხე და ტროლეებში უნდა ავიდი. ეს იყო ეს და უკვამიტინგებზე გაჭრთნილმა ვილაყ ქალბატონმა მომხალა — "კიტოვანი და სიგუა ხალხი თავისუფლებით არიანო... და დაიწყეთ, მაგრამ რა დაიწყეთ მთელი ვაგონი აქაც არ ნაწილად გაიყო — ვინ პრეზიდენტს უქერდა მხარს, ვინ ოპოზიციას და ვინ კიდევ...

ოი, დემოკრატო, ეს რა მოუთმენელი ხალხი ვართ ქართველები! გია ერთმანეთს უსმენდნენ ან ერთმანეთის აზრი ანტერესებდით? ყველა თავის სიმართლეს ამტკიცებდა და სულაც არ სურდა მოწინააღმდეგის აზრი მოესმინა და რაიმე დაეთმო. მე კი ვჭყქი გაოგნებული ჩემს ადგილზე და ვნანობდი. დაუფიქრებელი შეკითხვა რომ მივეცი მძღოლს და უხეშბლეთ მიზეზი გავუბი გავაგრეს სახელდახელო მიტინგი გამამართათ ტროლეებში.

ო, ნეტავ გამაგებინა — დაშოშინდებდა როდისმე ქართველი კაცი?!

**ავთანდილ ხაჩილიაჟი**

**ქართველებო!**

სამშობლო რომ გიყვართ, ამას მტკიცება არ უნდა, მაგრამ თქვენი გრძობა მაინც ვერ შეეღრება განცდას იმ კაცისას, ვინც ბედმა უცხო მხარეს გადასწროლა და ნუგემად ერთი მუქა მიწა შეაჩრინა. გვახარებს, გვეამაყება თქვენი შეუპოვრობა თავისუფლებისადკენ მიმავალ ყველა წებბრს რომ

ანგრევს. ძალიან გვეყვინს, ზოგს დავიწყებია ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: "საქართველოს ცხოვრების უმთავრეს უბედურებას იბდენად ვაჩრე მტერი კი არა, ძმითა შორის ბრძოლა შეადგენდა... ქართველ ერს დანაწილებისა და განკერძობის მაგურ, თავისი ქვეყნის ერთობისა და მთლიანობის განმტკიცებაზე უნდა ეფიქრა."

ქართველებო, განზე გადადეთ ყველა პირადი ამბიცი, დაივიწყეთ სხვა ყველაფერი, სამშობლოს თავმდაულებების მუხს სიმღერით შეხვდით.

დათო ტურაშვილო, ერთხელ კიდევ დასძახე, ბიჭო:

— "ჩემო ათასწერ გაყიდულო მუქად დარჩენილო საქართველო, ყველასგან უღწოდა გარიყულო" მინც ყველასათვის სანატრელო."

ხალხო, ვაჩხსენეთ, რომ ჩვენი მრავალტანჯული მამული ათასწერ დასცრეტელო, მუხთლოდ დარწერელო, უხეთოდ გაირყულო, უგუროდ გაყიდულო და მხოლოდ ერთობას, ერთგულებას აღუდგენია. მამულით იმედოდ წამოღებულ ერთ მუქა მიწას ვფიცავთ, ჩვენც მხარს. დაგამშვენებთ და ბოლოს და ბოლოს შევძლებთ თავისუფალ საქართველოში დაბრუნებას.

თურქმენეთში მცხოვრებ ქართველთა სახელით

**ნანა ნამგალაური**  
**გორის რიგაშაქი**  
**ანაო ბალუში**  
**ბაჩიალ მთიანუშილი**  
**ანა კოიოშილი**  
**და სხვები...**

**მადლობა**

სიკეთის ქმნას ისე გადაგვიჩვეთ, რომ ხანდახან უზომოდ გვახარებს და გვაოცებს.

ამას წინათ, დასავლეთ საქართველოდან ვბრუნდებოდით. შემოგვადამდა. ქუთაისის შესასვლელში, მუა გზაზე მანქანა გადავიფუჭდა. გამწვლუ მანქანებს ამაოდ ვთხოვდით დახმარებას, არცერთი მძღოლი არ შეჩერებულა. გადავიწყვეტეთ გათენებას დაგლოდებოდით.

ამ დროს გზად ავტოინსპექციის მანქანამ გამოიჩინა და ბუჭირით ქალაქამდე ჩაყვანა შემოგვთავაზა. აქამდე ავტოინსპექტორების დანახვაზე უსიამოვნო გრძობა მეუფლუნებოდა, რამეთუ ზმირად მხოლოდ დასაწყებულად გვევლინებინ ისინი. ამჯერად კი სრულიად სხვაგვარად მოხდა. ქალაქში რიგდზე მიყვამდა ავტოინსპექციის თანამშრომლებმა საგულდაგულოდ შეამოწმეს ძრავა, და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი დეტალი მოთლიანდ შესაცვლელი იყო. იქვე მიყვამდა ქუთაისის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი არც კი დაიფიქრებულა, საკუთარი მანქანის პირადან ჩვენთვის ძვირადღირებული დეტალი ამოიღო, დაგვაკვლია, მანქანა გავამართავინა და გზა დაგვილოცა. როგორც შევითქვეთ იგი იური იობიძე იყო.

უცებ დამიბრუნდა რწმენა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თანადგობა, ერთგულება შეუძლიათ, თორემ იმ დამეში გზაზე ასობით გულგრილოდ ჩავილომა მძღოლების საქციელმა ტკივილი დამიტოვა...

დღეს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ იური იობიძის სახით (სამწუხაროდ სხვების ვინაობა ვერ დავადგინე) მძღოლმა უნთხრა ყველას, ვისაც დახმარების გაწევა არ ეხარება, ვინც გულისხმიერებით ეკიდება სხვის გაჭირვებას, ვისაც სიკეთის კეთება შეუძლია.


**აპაპი ახალაჟი**  
**ნიწო კვახანტირაჟი**



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ეროვნული  
სამსახური

ლაშქარი, რომლის  
დღისეულიც

ბარდნივალი



**ბარდნივალი** გია ნადარეიშვილი. წავიდა ჩვენგან ცასავით სუფთა და ნათელი ადამიანი. კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა საზოგადოებამ.

ბატონ გია ნადარეიშვილზე ბევრი დაიწერა, და უფრო მეტი ალბათ მომავალში დაიწერება: უფრო საფუძვლიანად შეისწავლიან ამ დიდად ჩივიერი საქადრაკო კომპოზიტორის საინტერესო შემოქმედებას.

ვისაც კი ცოტა რამ მაინც გაეგება ჰადრაკისა, არ შეიძლება მოხიბლული არ დარჩეს გია ნადარეიშვილის ეტიუდების სიღრმით, ძნელად მისაღწევი უბრალოებით, მოულოდნელობის ეფექტურობით და სილამაზით... თუმცა ნებას არ მივცემ თავს, ანალიზი ვცადო ამ ეტიუდებისა, რადგან თავის დროზე ისინი გააანალიზებს და მაღალი შეფასება მისცეს საქადრაკო ხელოვნების ისეთმა დიდმა კორიფეებმა, როგორცაა მიხეილ ბოტვინიკი, ბობი ფიშერი, მიხეილ ტალი, მაქს ეივე, ტიგრან პეტროსიანი და ბევრი სხვა. „ნადარეიშვილის საუკეთესო ეტიუდები, ექვევარეშა, სამუდამოდ შევა საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში“, წერდა მიხეილ ბოტვინიკი. „უნიკიერესი ქართველი ეტიუდისტის გია ნადარეიშვილის რამდენიმე ეტიუდი ფანტასტიკურია, უბადლოა“ — ეს მაქს ეივეს სიტყვებია. „დიდებულია“, „უზადლოა“, „შესანიშნავია“, „ფანტასტიკურია“ — წერენ სალო ფლორი, ბობი ფიშერი, ვასილი სმისლოვი, ტიგრან პეტროსიანი. ხოლო ბორის სპასკიმ გია ნადარეიშვილის ეტიუდები დისენი ლენდის ზღაპრულ სამყაროს შეადარა. რა მოსწონდათ საქადრაკო ხელოვნების კორიფეებს ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებაში? რაღა თქმა უნდა, ამოცანის რაციონალური გადაწყვეტა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საოცარი სილამაზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადაწყვეტის ქართული არტიზმი, რითაც ეს ეტიუ-

დები საოცრად ჰგავნან მათ ავტორს — შესანიშნავ ქართველ ინტელიგენტს, მაღალი ზნეობითა და კეთილშობილებით გამოჩენულ ადამიანს გია ნადარეიშვილს. ქართული რაინდული ბუნების გამოხატულება მისი არაერთი ეტიუდი, მაგრამ აქ საგანგებოდ უნდა ვახსენო მისი „მხედრული“, რომელიც საეტიუდო ხელოვნების შედევრად არის მიჩნეული.

გია ნადარეიშვილს ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ამით საშუალება ჰქონდა უცხოელებისთვის არა მარტო მის მიერვე დაარსებული ქართული საქადრაკო კომპოზიციის მაღალი სკოლის მიღწევები გაეცნო, არამედ აგრეთვე კეთილშობილი და მდიდარი ბუნება ქართველი ადამიანისა, რომლის საუკეთესო განსახიერება თავად იყო. მისი მშვენიერი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო სტუმრისათვის, ალბათ აქ ყოფილა თანამედროვეობის თითქმის ყველა დიდი მოჭადრაკე, იქნებ ბობი ფიშერის და კიდევ რამდენიმე დიდოსტატის გარდა. ისინი მოხიბლული იყვნენ გია ნადარეიშვილის შემოქმედებით, მისი ალბათ ხასიათით, მისი ოჯახით, ქართული სტუმართმოყვარეობით... ბატონი გია ინტერესები, როგორც ეს დიდ მოჭადრაკეებს ახასიათებთ, ფართო იყო. კარგად ესმოდა და უყვარდა მუსიკა, უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ზებირად გეტყვოდათ ადგილებს შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეული თარგმანებიდან. ეს სიყვარული მას ოჯახიდანაც მოსდგამდა — მამამისი ქართული სხალხო თეატრის მოამაგე გახლდათ. ალბათ მწერლობის და ხელოვნების სიყვარულით იბნებდა, რომ მის ბევრი მეგობარი ჰყავდა მწერალთა და ჟურნალისტთა შორის.

გია ნადარეიშვილი პირველი ქართველი ეტიუდისტი, რომელსაც საქადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭეს. მისი დიდი ავტორიტეტით უნდა აიხსნას, რომ იგი აირჩიეს საქადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის ვიცე-პრეზიდენტად.

ბატონ გიას სხვა პროფესიაც ჰქონდა და ძირითად პროფესიად სწორედ ის არის მიჩნეული: იგი სამედიცინო დარგის მოღვაწე გახლდათ — საქართველოს დამსახურებული ექიმი, ქალაქ თბილისის მთავარი ნევროპათოლოგი, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა განყოფილების გამგე. და მისი ბუნების კეთილშობილება, მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობა და გულსიმძიერება აქ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ შელოწოდებოდა. მას უყვარდა ავადმყოფი, მზრუნველობას არ აკლებდა მას, თავადვე განიცდიდა ადამიანის სატიკივარს და დროსა და ენერჯიას არ იშურებდა მის განსაკურნავად, მისთვის შეგების მისანიშნებლად. და სამედიცინო დარგშიც იგი ყველასთვის ერთნაირად საყვარელი და ძვირფასი იყო — ავადმყოფებისთვისაც და კოლეგა ექიმებისთვისაც.

ბატონი გია იშვიათი მეგობარი იყო — გულითადი, ერთგული, უშურველი... საგულისხმოა, რომ მას გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ახალგაზრდებთან, ზრუნავდა მათზე, ხელს უწყობდა მათ, ყოველნაირად ცდილობდა მათ დაწინაურებას. მაგონდება რუსი პოეტის ევგენი ილინის სიტყვები — გია ნადარეიშვილი მეგობრობის ნამდვილი დიდოსტატია.

ვემშვიდობებით ბატონ გია ნადარეიშვილს — შესანიშნავ მოღვაწეს, შესანიშნავ ქართველ ინტელიგენტს, შესანიშნავ ადამიანს.

მან საკუთარი შემოქმედებით საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართული საქადრაკო კომპოზიციის ხელოვნებას, და ამ დიდი შემოქმედებითა და ღვაწლით საკუთარი სახელიც უპოვებდა.

**დავით ხალიაი**  
**სურათში:** გია ნადარეიშვილი და მიხეილ ბოტვინიკი ქობულეთში, 1988 წელს.

ქართული ეკლესიის  
დიდი დღესასწაული

(დასასრული)

ქრისტიანული ტაძარი. მოჭრეს ხალხივით ამოსული უზარმაზარი კვიპაროსი, რათა იგი ტაძრის შემნებლობაში უმთავრეს სვეტად გამოეყენებინათ, მაგრამ მისი წამოწევა ვერაფრით შეძლეს. მთელი ღამის განმავლობაში ევედრებოდა ღმერთს შეწყევას წმინდა ნინო. და იხილა მან ნათელი მოხილი ჰაბუკი, რომელმაც იმავე ადგილზე აღმართა კვიპაროსის სვეტი, ხადაც ამოსულიყო. იგი დიდ ბრწყინვალეობას და სურნელებს გამოსცემდა, ძირითადად კი მართონი წარმოსდინდებოდა. ახე მთუთითა ანგელოზმა ის ადგილი, ხადაც უფლის კვართი იყო დაქრძალული და ხადაც ახალი ტაძარი უნდა აშენებულიყო.

ეს დიდი მოვლენა გამოსახულია წმინდა ხატზე, რომელსაც „ქართული ეკლესიის დიდება“ ეწოდება.

შემდგომში ამ ხის ტაძრის ადგილზე დიდებული ტაძარი ააგეს, რომელსაც სვეტიცხოველი ეწოდა ხანწაულებრივი მოვლენის აღსანიშნავად. ამჟამად ეს სვეტიცხოველი, მრავალი წლის

განმავლობაში განკურნებოდა და საკვირველმოქმედებათა წყარო რომ იყო, მოქცეულია ქვის ოთხკუთხედიან სვეტში, ხოლო მის გვერდით მოთავსებულია უფლის ხადავის მკეტი.

უფლის კვართისა და დედაებრივ ბრწყინვალე შირონმდინარე ცხოველყოფილი სვეტის პატეხაცივად საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის მიერ ძველთაგანვე დაწესებული იყო დიდი დღესასწაული — სვეტიცხოველობა, მცხეთობა.

ამჟერადაც ეს დღე ტრადიციისამებრ აღინიშნება სრულიად საქართველოში. ყველა მოქმედი ეკლესიების წინამძღვრები დღესასწაულთან დაკავშირებით ადგილენს ხაზეიმო წირვა-ლოცვას, შეაუდრებენ უფალს ჩვენს მამულს, ამერ-იმერს, ქართველ ერს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ადგილენს ლოცვასა და ხაზეიმო წირვას, მოუწოდებს ქართველებს თანადგომისა და ერთობისაკენ, მიმტევებლობისა და რწმენისაკენ, სიყვარულისა და სიკეთისაკენ.

სასწავლო-მოსაზრადებელი კომპიარაბივი „რეპეტიტორი“ აზრქაღვას მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის.

გამოცდილი რეპეტიტორები მოამზადებენ აბიტურიენტებს ყველა იმ საგანში, რომლებიც ბარდება მისაღებ გამოცდებზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

მეცადინეობა იწარმოებს ამა წლის 18 ოქტომბრიდან ყოველდღე, გარდა კვირისა, 18 საათიდან 22 საათამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგემართეთ დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ჩვენი მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. № 86, მეტრო „ნაძალადევი“, 113-ე საზ. სკოლა, ტელ 66-72-35 ფლოიალები:

დ. გურამიშვილის ქ. 12ა (ავტოლის ცხატა) 141 საზ. სკოლა, ტელ 61-79-87, 61-80-47 თეშქა შე-11 კვ. 48-ე საზ. სკოლა ტელ. — 60-05-64, 60-27-41.

**აბტორთა**  
**საქურადღეაოლი**

ვისაც სურს საკუთარი ხარჯით გამოსცეს წიგნი, გთავაზობთ: საბეჭდ ქალაღლს მუყაოს კალენკორს და სხვა წიგნის დასაბეჭდად საჭირო მასაღებს ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე 96-89-77.



**მეფუტაკეოზის სახალხო უნივერსიტეტი**

ახტაღებს მსმენელთა მიღებას. ჩარიტევა დაიწყება ა/წ 21 ოქტომბერს 11 საათიდან საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოღნის“ მცირე დარბაზში, მერაბ კოსტავას ქ. № 47.

სწავლა ორწლიანია. კურსდამთავრებული მიიღებს დიპლომს. ლექციები ჩატარდება ოთხშაბათობით 17 საათიდან. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება ადგილზე.

**ჩამტორაბი**

**16-17 ოქტომბერი**

ქ. შირვანიშვილის სახ. თეატრის შენობაში ქაღის საღამო თბილისში

„უარტ არტ ტრეო“ (შვეიცარია) ტომას ეკერტი

კრისტოღ ბატტიევი კრისტიან კუნტნერი

„კეტიბოღ კვარტიტი“ (საქართველო) შირეშიეტირა

მუსიკა და არანჟირება გიგი გაჩეიღაღისა დასაწყისი 16-30 საათზე. ბიღუეტი გიციღდება თეატრის საღარეში.

ჩვენი გავითოს შეგდებნი ნომერი გავიგვა შაბათს, 19 ოქტომბერს.

### ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში

#### ფირმა „ზეპსი“ გთავაზობთ:

პრესტიჟულ კრუიზს გერმანიაში, ნორვეგიული წარმოების თბომავლით „ანა კარენინა“, — მარშრუტით: ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი. კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება. ორადგილიან კაიუტაში ერთი საგზურის მინიმალური ფასი 10890 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები თბილისიდან თბილისამდე. მანქანების ყიდვის შემთხვევაში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მათი გემზე დადებისა. ჯგუფები კომპლექტდება 1 და 15 ნომბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ — მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ. №3 (სასტუმრო „საქართველოსთან“)

მიღების საათები: 11-დან 18 სთ-მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ.: 23-15-58

### დარბაზური სამეცნიერო საწარმო ბაქარტიანება „საქინფორმსამართალი“ გთავაზობთ გაუფასურებულ საბჭოთა მანეთებზე:

IBM თავსებად PC/AT გაფართოებული კონფიგურაციის პერსონალურ კომპიუტერებს; ლაზერულ საბეჭდ მოწყობილობებს Lazerjet III HEWLET PACKARD

ტელეფაქსებს AUDIOVOX AFX2000 ქსეროქსებს Canon PC 5

ფასები საბაზრო ფასებზე გაცილებით დაბალია; საქონლის მიწოდება წარმოებს ხელშეკრულების გაფორმების დღესვე, ანგარიშსწორება გადარიცხვით.

საკონტაქტო ტელეფონები: 10 საათიდან 19 საათამდე 38-68-00

19 საათიდან 22 საათამდე 93-57-77

### ტურისტული ფირმა „პრიზმა“

გთავაზობთ 8 დღიან ეგზოტიკურ მოგზაურობას

#### მალაიზიაში

ნომბრის და დეკემბრის თვეებში. მსურველებს გთხოვთ სასწრაფოდ დაგვირეკოთ: ტელ.:

36-76-72 ან 36-77-72

ჩვენი მისამართია:

კ.კამსახურდიას გამზ. 3/7

ფირმა „პრიზმა“

ფირმა „არიანდა“-სთან არსებული საქართველოს რეგიონალური სააგენტოს


#### საქველმოქმედო თამაში „ქაქაქაქა“

თამაში მონაწილეობა უზრუნველყოფს თქვენს გარანტირებულ და გეგმიურ შემოსავალს, რომლის საერთო თანხა (რამდენიმე დღეში) შეადგენს 6000 მანეთს, ხოლო თქვენი დანახარჯი კი შეადგენს 1000 მანეთს. თამაში არ არის კონკურენტები. ომისათვის, რომ გახდეთ თამაშის მონაწილე საჭიროა პირადად წარადგინოთ პასპორტი და 1000 მანეთი მისაღებ პუნქტებში. თქვენს წინ ოპერატორი შეიტანს სიაში თქვენს მონაცემებს, გამოვიწერთ შენატანის დამადასტურებელ ქვითარს, სადაც აღნიშნავს თქვენს რიგით ნომერს და ბეჭედით დაამოწმებს.

რამდენიმე დღეში თქვენი შემოსავალი (6000 მან.) გაგზავნილი იქნება თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე.

ჩვენ მაქსიმალურად დაინტერესებული ვართ თქვენს წარმატებაში.

მისაღები პუნქტის მისამართია: ქ.თბილისი, ასათიანის ქუჩა 12, ფირმა „არიანდა“-სთან არსებული საქართველოს რეგიონალური სააგენტო.



სამშენებლო ორგანიზაციების საყურადღებოდ! მცირე საწარმო „კონსტრუქტორი“ გთავაზობთ ბლოკების დამზადებულ ვიბროდანდარს. წარმოება—300 ცალიდან საათში. ბლოკის (390X200X175) დასამზადებლად აღნიშნულ დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წილის, პეშის, ღორლის ან სხვა ცემენტოვანი ნარევი. ტელ.: თბილისი 51-75-09 (18.00-21.00 სთ.) სოხუმი 4-27-92 (ეშპას ქ.№128).

ქ.თბილისში ვიყიდი, ან გავცვი ქ.ბათუმიდან 2 ოთახიან იზოლირებულ ბინას, 2 ოთახიან იზოლირებულ ბინაზე. ცნობებისათვის დარეკეთ 99-61-83 საღამოს 9-ის შემდეგ. ალექსი ქინქლაძე.

### კოოპერატივების, ფირმებისა და კერძო პირების საყურადღებოდ!

იყიდება გთავაზობთ, უმაღლესი ეფექტიანობის მქონე, კომპაქტურ ელექტრო ბურღებს. აგრეთვე გაზის ქურებსა და სააბაზანო ონკანებს.

მოგვმართეთ დღეიდანვე, დასვენების დღეების ჩათვლით, მისამართზე: ბუდაპეშტის №1. დილის 10 საათიდან.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

### კოოპერატივი „ბურჯი“ გთავაზობთ საქველმოქმედო კომერციულ თამაშს

#### „ჯორჯიან მერკური“

თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ჩვენი თამაშის მუდმივი მონაწილე, სადაც მოგება განუსაზღვრელია. ამით თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ცხოვრების სტილი. ეს ყველაფერი

#### „GEORGIAN MERCURY“

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის ქ.№1 (ასოციაცია „ალორძინები“-ს ოფისი).

- კოოპერატივი იღებს ვალდებულებებს:
1. თამაშის რეკლამირება.
  2. ყველა საორგანიზაციო საკითხი.
  3. აქციების ყიდვა-გაყიდვა თამაშის ბოლომდე.

#### იყიდება ავტო

ვიდი იმპორტულ ავტო. დარეკეთ ტ.: 34-88-97.

#### იყიდება აგრეთვე ნაკვეთი

ფინური ერთოთახიანი სახლით ზოოვეტ. ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე ტ.: 39-69-05.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

დავკარგე პასპორტი, გთხოვთ ვინც კი იპოვის დარეკოს 22-31-20 თორაძე ნინო დავითის-ას.

#### იყიდება

გერმანული პიანინო „ციმბარანო“ ტელ.: 37-58-25, 55-46-30 სამხარაძე ნანა.

#### იყიდება ფხის საკვრავი მანქანა „პერიტასი“.

დარეკეთ 34-61-76.

იყიდება კივის წარმოების ხლო-მერხატი (მუყაო). წონა 13 ტ. სი-განე 53 სმ. და 105 სმ. ცნობებისათვის დარეკეთ: 72-40-41; 72-35-92.

#### ფირმა „არბო“

იწვევს საქართველოში მცხოვრებ ავტომანქანის მძღოლებს მოსახლეობის მომსახურებისათვის. ჩვენთან გაერთიანებულ მძღოლებს გაეწევათ სხვადასხვა სახის მომსახურება უფასოდ.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1 ტელ.: 37-58-25, 37-06-64. 11<sup>00</sup> სთ-დან 16<sup>00</sup> სთ-მდე.

თურქეთის რესპუბლიკის, ქართვინში ჩატარებული, — კავკასიური ფოლკლორის ფესტივალში გამარჯვებული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამშობლო“ უძებს სპონსორებს. ანსამბლის ხელმძღვანელი—ციური დადიანიძე ტელ.: 29-36-33 გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

ხალკებრდა ქვერიული  
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 98-00-49.

საქართველოს უზრუნველყოფის გამოცემლობა „სამშობლო“ სტამბა თბილისი, 3. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიზარაულის 29. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

გაზეთი გაგზავნის კვირაში ხანჯარი სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მხალხები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.